საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 25 მარტი, 2014 წელი.

№58 (7439)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჯიბეებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„რუსთავი-2“: „ახალი ტყუილი კეთდება აქ“!

2

ჩამოვა თუ არა დაკითხვაზე სააკაშვილი?

თუ არ ჩამოვიდა, მასზე ძებნა გამოცხადდება, - აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი

მიხეილ სააკაშვილი ვალდებულია, გამოძიებასთან ითანამშრომლოს და ყველა კითხვას, თუნდაც მისთვის უხერხულს, ამომწურავი პასუხი გასცეს, — აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

„მან ყველა კითხვას უნდა გასცეს ამომწურავი პასუხები. თუნდაც გაფანტოს ეჭვები, დაეხმაროს გამოძიებას, სწორად წარმართოს აღნიშნული პროცესი. თუ მას აქვს შენარჩუნებული გარკვეული გონიერება, უნდა ჩამოვიდეს. ის უბრალოდ ვალდებულია, ჩამოვიდეს, ვინაიდან ამ ქვეყნის პრეზიდენტი იყო 9 წლის განმავლობაში და ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას მის მიერ არჩეულ მთავრობას, პროკურატურას ვგულისხმობ, აქვს კითხვები. მეორე საკითხია, ჩამოვა თუ არ ჩამოვა, მაგრამ, ჩემი აზრით, უნდა ჩამოვიდეს, თუ ჯერ კიდევ აქვს საღი აზრი შენარჩუნებული...

თუ არ ჩამოვიდა, მასზე კანონის შესაბამისად ძებნა გამოცხადდება. ის დღეს არის ჩვეულებრივი მოქალაქე. პროკურატურას აქვს მასთან ძალიან მძიმე საქმეებზე კითხვები. კეთილი ინებოს, ჩამობრძანდეს და გასცეს პასუხი. ეს არის ჩემი ძალიან მარტივი პასუხი“.

გავამწვანოთ საქართველო!

ქართულ მიწას და ტაძარს თავს ევლება მრევლი...

მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ზეთისხილის ბაღის გაშენება დაიწყო.

პირველი ნერგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დარგო.

ბაღის გაშენებაში მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა და მინისტრთა კაბინეტის წევრებმა.

„ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ბუნებაზე ზრუნვა ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. თქვენ იცით, რომ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაიწყო გამწვანების კამპანია „მწვანე მომავალი.“ მნიშვნელოვანია, რომ ქართული ეკლესია და სახელმწიფო ამ შემთხვევაშიც ერთადაა ამ ეროვნულ საქმეში. ღრმად ვარ დარწმუნებული, ბევრი ჩვენი თანამოქალაქე შემოგვიერთდება. წელს ნახევარი მილიონი ნერგი უნდა დაირგოს, რათა ჩვენი ქვეყანა იყოს ეკოლოგიურად უფრო სუფთა და ვიცხოვროთ ჯანსაღ გარემოში,“ — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

უწმინდესმა და უნეტარესმა მთავრობის წევრებთან ერთად მშენებარე ტაძარიც მოინახულა და პარაკლისი გადაიხადა.

გამწვანების აქციის ორგანიზატორი ტაძრის მშენებლობის ფონდი „ივერიისა“ და პატრიარქის მიერ დაფუძნებული ფონდი „გაამწვანე საქართველო“ იყვნენ.

მახათას მთაზე მშენებარე ტაძრის 2/3 უკვე აშენებულია. როგორც ფონდ „ივერიისას“ დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, მსგავსი აქციები მომავალშიც გაგრძელდება.

საკუთარი ინფორმაცია

ოჰ, ეს მსუნაგი ბანკები!

4

8 საქართველო ნატოს ჰაერს, ზღვასა და რელსებს შესთავაზებს

შორს ყაჩაღები 5 ყაჩაღიანიდან!

ოქროს წერტილი ოქრუაშვილისგან

10

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საქართველოს პრეზიდენტი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია მიიღო პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარის ხოსე ლელოს ხელმძღვანელობით. შეხვედრისას, მხარეებმა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოსა და ნატოს დაახლოების ფორმატებსა და ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესს. მათ რეგიონში არსებულ ვითარებაზეც იმსჯელეს და ყურადღება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე გაამახვილეს.

გიორგი მარგველაშვილმა, საუბრისას, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. მისი თქმით, ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავს, რათა ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ალიანსს და გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების განსახორციელებლად. თავის მხრივ, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის წარმომადგენლებმა ამ პროცესში საქართველოს სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. ხოსე ლელოს განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აღნიშნული იქნება ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე წარსადგენ საანგარიშო მოხსენებაში.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციასთან შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში გაფართოებული შემადგენლობით გაიმართა, რომელსაც ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა აბაშიძე, პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობების მრჩეველი ივანე მაჭავარიანი და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი ესწრებოდნენ.

მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პრემიერის თანხმობის აუცილებლობას პრეზიდენტი ეწინააღდეგება

საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შესაბამისი სამართლებრივი აქტები პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას არ უნდა ექვემდებარებოდეს.

საუბარია პროცედურაზე, როცა პრეზიდენტის მიერ გამოცემულ აქტს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერა სჭირდება, წინააღმედ შემთხვევაში, ძალაში ვერ შევა.

გიორგი მარგველაშვილი არ იზიარებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში საპრეზიდენტო არჩევნებამდე განხორციელებული ცვლილებების არსს და ასევე ამავე სახელწოდების სრულიად ახალ კანონპროექტის იმ ნაწილს, რომლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობის მიღება და აღდგენა კონტრასიგნაციას დაექვემდებარა. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქალაქეობის საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებაა.

აღნიშნულთან დაკავშირებით პრეზიდენტის შენიშვნები პარლამენტში ოფიციალური დოკუმენტის სახით არის წარდგენილი, რომელსაც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დავით პატარაია აწერს ხელს.

გიორგი მარგველაშვილი აკადემიკოს შალვა ამონაშვილს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი აკადემიკოს შალვა ამონაშვილს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის პრესსამსახურიდან აცნობეს, გიორგი მარგველაშვილი ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ცენტრის საპატიო პრეზიდენტს, აკადემიკოს შალვა ამონაშვილს შეხვდა. აკადემიკოსმა მადლობა გადაუხადა ქვეყნის პირველ პირს იმისთვის, რომ ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში პირველად სწორედ საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით გაიმართა. მისი თქმით, განათლების სფეროს განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და ხაზგასმით აღნიშნა გიორგი მარგველაშვილის წვლილი საგანმანათლებლო პროექტების შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით.

საქართველოს პრეზიდენტთან საუბრისას, შალვა ამონაშვილმა ასევე იმ საკითხების შესახებ გაამახვილა ყურადღება, რომლებზეც ფორუმის მონაწილეებმა ორდღიანი კონფერენციის მუშაობის დროს იმსჯელეს.

თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა ღვაწლმოსილ პედაგოგს განათლების სფეროს განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ იგი ყოველთვის დაუჭერს მხარს საგანმანათლებლო სისტემის დახვეწის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს.

ჰუმანური პედაგოგიკის მე-13 საერთაშორისო კონფერენცია 21-23 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

ყველანი ბედკრული საქართველოს შვილები არიან

„კინოს სახლთან“ მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების გამო სამართალდამცველებმა სამი პირი დაკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, სამივე პირი დაკავებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის დარღვევისათვის, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

ფიზიკური დაპირისპირება „ევრაზიული კავშირის“ მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც „კინოს სახლში“, „ნატოს საწინააღმდეგო კამპანიის ფარგლებში“ ღონისძიება დასრულდა და მისი მონაწილეები შენობას ტოვებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას სპეციალური ჯებირები ჰქონდა გაკეთებული, რათა აქციის მონაწილეები ერთმანეთთან ახლოს არ ყოფილიყვნენ, მათ ერთმანეთთან მიახლოება და ფიზიკური დაპირისპირება მაინც მოახერხეს.

ინტერპრესი

◎ ცოდვილი ნიკა გვარამიას კანტორა...

„რუსთავი-2“: „ახალი ტყუილი კეთდება აქ“!

სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, წერა როგორ დავიწყო მით უმეტეს, რომ საქმე ჩემს კოლეგებს ეხება. ყველას, ვინც „რუსთავი-2“-ში მუშაობს და ვინც იმ აბსურდს აფრქვევს ტელეეკრანიდან, რაც იმ დღეს, 18.00-საათიან „კურიერში“ მოხდა. ახლა იმის თქმა, რომ არ ვიცოდით და გაგვეპარა, უნამუსობა იქნება, რადგან ასეთი რაღაც, როგორც წესი, არ იპარება და თუ გაპარვაზეა, სხვა რამე ეპარებათ ამ ტელევიზიის შეფებს და ვერ ხვდებიან.



მოკლედ, მას შემდეგ, რაც ქართველოში ვიზიტისას, მან და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ პირდაპირ უთხრეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომ ეს არ არის წინსვლის მომტანი გზა.

როგორია? ხომ არის ქვის გამხეთქავი ამბავი, ხომ იქნია ბილდტმა ხელები და აქეთ გვარამიას კანტორამ (ამას ტელევიზია უკვე აღარ ჰქვია) ხომ გვაუწყა ცინცხალი ამბავი? — ვაი, თქვენს პატრონს — ყველასი ერთად და თითოეულის ცალ-ცალკე. მეცოდებით-თქო, როგორ ვთქვა, საკუთარი თავი თავად არ გეცოდებათ. ახლა არ დამიწყოთ, გაგვეპარა, არ ვიცოდითო... კარლ ბილდტი საქართველოში ათი დღის წინ რომ არ ყოფილა ჩამოსული და აქ გასული წლის ნოემბერში რომ იმყოფებოდა, არ გახსოვთ? არც ის გახსოვთ, რომ ბილდტიმ და სიკორსკიმ რაც ილაპარაკეს, მთელი კვირა ატრიალეთ ტელევიზიით და იგივე ირაკლი მაისურაძე იყო, რომ ამბობდა, ბილდტმა ეს თქვაო. დაავიწყდა ნოემბერში ნამღერი რომ გადაამღერებინეს? თუ ასეა, რა უნდა ჟურნალისტიკაში, წავიდეს აგერ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე არასამთავრობო ორგანიზაციები აქვთ გახსნილი ნაციონალებს და გამოიყენებენ რამეში. ან გვარამიამ არ იცოდა, რომ რასაც აკეთებდა, თითქმის ნახევარი წლის წინ ითქვა? ძალიან კარგადაც იცოდა, მაგრამ ვიღაც ხომ დააჯერეს, ვიღაც ხომ მოატყუეს და ამით ბედნიერები არიან. მერე ამბობენ, „ფიფლმეტრებს“ გვართმევს ხელისუფლება, რეიტინგებს ვეღარ ვზომავთო.

...სალამოს ვითომ ბოდიშები ახადეს ტყუილის მკეთებლებმა, ტექნიკური შეცდომა იყოო, მაგრამ რამდენი ასეთი „შეცდომა“ უნდა მოუვიდეს რუსთავი-2-ს, ამ ცოდვილ პანდორას ყუთს?

ნიკა ასლანიძე

აშშ-ში არც ერთ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილის გვარი არ თქმულა!

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, რომელიც ცოტა ხნის წინ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა, აცხადებს, რომ არც ერთ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილის გვარი არ თქმულა.

თედო ჯაფარიძის განცხადებით, პროკურატურაში სააკაშვილის მოწმის სტატუსით დაბარება დრამატიზირებული არ უნდა იყოს.

„შეერთებულ შტატებში გამართულ შეხვედრაზე საუბარი იყო ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს მომავალზე, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობასა და ამ ურთიერთობის გაღრმავებაზე. მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული ამბები თბილისში გავიგე. მინდა დაგარწმუნოთ, პროკურატურის მხრიდან ადგილი რომ ჰქონდეს პოლიტიკურად ანგაჟირებულ მოქმედებას, ჩვენს მთავრობას და მთავარ პროკურატურას ემოქმედა სატელეფონო ზარის მიხედვით, ვიღაცის დაკვეთით და დავალებით, ხელისუფლება ამგვარ ნაბიჯს არ გადადგამდა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ მთავარი პროკურატურა და მართლმსაჯულება არის დამოუკიდებელი. მასზე არავინ ზეწოლას არ ახდენს და ის მოქმედებს საკუთარი შეხედულებების და გადაწყვეტილებების შესაბამისად“.

როგორც მერაბიშვილი ვერ გახდა ტიმოშენკო, ისე ვერ გახდება სააკაშვილი წამებული



მთელი ჩემი არსებობა ეკუთვნის საძართველოს, – ეს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სიტყვებია. რამდენიმე დღის წინ იგი არ მალავდა, „მეორე სიცოცხლეც რომ მქონდეს, მეორედ დავიბადებოდი და მეორედაც ვიმუშავებდი საქართველოსთვის, მესამე სიცოცხლე რომ მქონდეს, მესამე სიცოცხლეც მიეძღვნება საქართველოს. მეათეც – მეათეც მიეძღვნება საქართველოს“.

უფრო ადრე სააკაშვილი იმასაც იხსენებდა, 2008 წელს რუსული ტანკები თბილისის ასაღებად და მის მოსაკლავად რომ მოდიოდნენ, ამერიკის მთავრობა მზად იყო, თვითმფრინავებით მოეხდინა მისი ევაკუაცია. თუმცა, სააკაშვილს თვალწინ წარმოუდგა 1921 წელი და საქართველოს მაშინდელი მთავრობის მიერ ქვეყნის დატოვება.

„ვთქვი, რომ უცხოეთში მათ შემდგომ ცხოვრებას სამშობლოში სიკვდილი ჯობია. გამახსენდა უინსტონ ჩერჩილი – ჩვენ არასდროს დავნებდებით. მას შემდეგ ჯვართან ერთად ვატარებ ჩერჩილის ამოტვიფრულ ამ სიტყვებს: „არასდროს, არასდროს, არასდროს დანებდე, არასდროს, არასდროს არ ჩამოუშვა ხელები“.

სააკაშვილის ამ სიტყვების მიუხედავად, დღეს მის თანაგუნდელებში ერთი ამბავია ატეხილი, რომ სააკაშვილი არ უნდა ჩამოვიდეს დაკითხვაზე და არ უნდა უპასუხოს ქართული გამოძიებისგან დასმულ შეკითხვებს მთელ რიგ მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებზე.

მაგალითად, ბაჩო ახალაია მოუწოდებს მიხეილ სააკაშვილს, არ ჩამოვიდეს და არ გაუყადროს თავი კრიმინალ ხელისუფლებას; გიგი უგულავას რჩევაც ანალოგიურია, სააკაშვილი არ უნდა მივიდეს პროკურატურაში.

გიორგი ვაშაძე ფიქრობს, რომ, თუ გამოძიებას ძალიან უნდა მისი დაკითხვა, შეუძლიათ, თვითონ ჩავიდნენ იქ, სადაც მიხეილ სააკაშვილია. ნუგზარ წიკლაურისთვის სააკაშვილის დაკითხვებზე დაბარება ნიშნავს დიდი სამოქალაქო კონფრონტაციის დაწყებას. ნაციონალები ეჭვობენ, რომ „ოცნების“ მიზანია, როგორმე წითელ ცირკულარში ჩასვან სააკაშვილი, რომ ის ვერ გადაადგილდეს ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში.

თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ თუ სააკაშვილი არ ჩამოვა, პროკურატურა კანონის შესაბამისად იმოქმედებს და მასზე ძებნა გამოცხადდება.

უკვე ცნობილია, რომ შეკითხვები სხვადასხვა საქმეებს მოიცავს, მათ შორის, ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულს – გირგვლიანის მკვლელობას, რომლის დედის, ირინა ენუქიძის მიმართაც, თუ სააკაშვილს ვერწმუნებით, ყველაზე მეტად ჰქონდა სოლიდარობისა და დანაშაულის განცდა. ძალიან განიცდიდა, რომ სანდრო გირგვლიანის დედა არ ნახა.

პროკურატურის ჩამონათვალში არაფერია ნათქვამი სააკაშვილის თვითაღიარებების შესახებ – აფრასიძეებისა და სხვა საქმეებთან დაკავშირებით, თუმცა იმ ჩამონათვალის მიხედვით, რასაც პროკურატურა ავრცელებს, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, საინტერესოა, დადგება თუ არა სააკაშვილის სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხი? მოსალოდნელია, რომ მოვლენების ასეთნაირად განვითარების შემთხვევაში, სააკაშვილი ადეიშვილის გზას დაადგეს და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს?! საკითხავია ისიც, ვინ მისცემს თავშესაფარს ექსპრეზიდენტს?

ეს კითხვები მით უფრო ლეგიტიმურია, რომ გოკა გაბაშვილს თუ ვერწმუნებით, საქართველოს მთავრობის ქმედებების შედეგად ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში, უკვე ოცზე მეტ ადამიანს მისცეს პოლიტიკური თავშესაფარი.

ბოლო დროს სააკაშვილი საქართველოს შესახებ პოლიტიკური შეფასებებისგან თავს იკავებდა, საქართველოზე ნაკლებად ლაპარაკობდა და ერთგვარ დისტანცირებას ცდილობდა. მიზეზი ალბათ, ის იყო, რომ მერაბიშვილის თუ სხვა მაღალჩინოსანთა მსგავსად, მის მიმართაც კითხვები არ გაჩენილიყო. თუმცა, თავი ვერ შეიკავა ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით...

ექსპერტ გია ხუხაშვილისთვის მოწმედ დაბარებული სააკაშვილის გამო ნაციონალების ისტერიკა გაუგებარია. მისი აზრით, ჯერჯერობით, ექსპრეზიდენტისთვის ბრალდებულის სტატუსი არ მიუნიჭებიათ, ამიტომ ყველა უნდა დაწყნარდეს.

For.ge-სთან საუბარში ექსპერტი აცხადებს, რომ ნაციონალებს სააკაშვილი მსოფლიოს ჭიპად მიაჩნიათ, მაგრამ იგი არც მსოფლიოს ჭიპია, არც საქართველოს მომავლის ჭიპი და მას არ უკავშირდება საქართველოს განვითარების ვექტორი. ამდენად, სააკაშვილის გამო ნატოსა და ევროკავშირისკენ გზის დასამარება არ მოხდება.

„ის, რომ მიშას პასუხი მოეთხოვება რაღაც დანაშაულზე, ამაზე არ არის დაკავშირებული საქართველოს მომავალი. რატომ შეიძლება ასეთმა „პატრიოტმა“ უარი განაცხადოს მოწმის სტატუსით დაკითხვაზე? თუ ისინი მართლები არიან, პირიქით, უნდა მივიდნენ დაკითხვაზე. სააკაშვილის პერიოდში დაკითხვაზე რამდენჯერაც დამიბარეს, იმდენჯერ მივედი. ჩემი ფეხით მისვლა რომ არ აკმაყოფილებდათ, მანქანაშიც კარგად მტენიდნენ და ისე მივყავდი. ამდენად, სააკაშვილის ამფსონების საქციელი არ არის მოქალაქეობრივად გამართული.

არასერიოზულია, თითქოს, ობამა სააკაშვილს პირად გარანტიებს მისცემს. ზუსტად ვიცი, ობამას სააკაშვილი არ აინტერესებს, ილუზიაა, რომ დასავლეთი სააკაშვილის გამო სასწაულებს მოახდენს. როგორც მერაბიშვილი ვერ გახდა ტიმოშენკო, ისე ვერ გახდება სააკაშვილი წამებული. სააკაშვილი გახდება იანუკოვიჩი, ეს უფრო სავარაუდოა. ყველა დანაშაულის თავი და დამკვეთი იყო პირადად სააკაშვილი. ამიტომაც დაიბარეს რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით. მის გარეშე სახლები არ იღებებოდა და როგორ წარმოგიდგენიათ, დანაშაული ვინმეს შეეძლო მის გარეშე ჩაედინა? ამიტომ სააკაშვილს შეუძლია, კარგად მოემზადოს, აიღოს გონივრული ვადა, „მოგვენატრა“ ყველას და, თუ გამოჩნდება, ნამდვილად შევუქებთ ამ საქციელს,“ – გვითხრა გია ხუხაშვილმა.

For.ge-სთან საუბარში უფლებადამცველ დიმიტრი ლორთიფანიძეს არ აქვს მოლოდინი, რომ სააკაშვილი მყისიერად გამოეხმაურება საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნას მისი მოწმის სახით დაკითხვასთან დაკავშირებით.

თავშესაფარს რაც შეეხება, დიმიტრი ლორთიფანიძის თქმით, ყველას ახსოვს წითელი ცირკულარით ძებნილი ზურაბ ადეიშვილი, რომლის შესახებ ჭორები გამართლდა და ის უნგრეთის პრეზიდენტის მრჩევლად აღმოჩნდა. ანუ პირი, რომელიც იძებნებოდა საერთაშორისო ძებნის ყველაზე უფრო მაღალი ფერის – წითელი ცირკულარით და, რომლის მოძიების ვალდებულება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ყველა სამართალდამცავი ორგანოს პირდაპირი ვალდებულება იყო, მაინც ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას უნგრეთის პრეზიდენტის კარზე, რაც დღემდე წარმატებით გრძელდება. ეს მაგალითი შეიძლება უნივერსალურად გავრცელდეს სააკაშვილზე და, სადაც ადეიშვილია ხელშეუხებელი, იქ სააკაშვილიც გახადონ მისმა დასავლელმა პარტნიორულმა ორგანიზაციებმა ხელშეუხებლად.

თუმცა, უფლებადამცველის თქმით, წითელი ცირკულარით ძებნას სამართლებრივი საფუძვლები დასჭირდება. ადეიშვილისგან განსხვავებით, სააკაშვილი არ არის ბრალდებულად ცნობილი რაიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ მის მიმართ წითელი ცირკულარით ძებნის გამოცხადება ვერ მოხდება, სანამ არ მოხდება მისთვის ბრალის წარდგენა.

„სააკაშვილი შეეცდება, გაჭიმოს დრო და მაქსიმალური პოლიტიკური დივიდენდები მიიღოს, მოისხას პოლიტიკური დევნილის მანტია და მოახდინოს საკუთარი პერსონის ვიქტიმიზაცია დასავლეთის თვალში. რუსულ-უკრაინული ესკალაციის ფონზე სააკაშვილი ივაჭრებს დასავლეთთან ხელშეუხებლობის მისაღებად. ჩამონათვალის მიუხედავად, არის კიდევ ბევრი სხვა საკითხი, მათ შორის, აგვისტოს მოვლენები და სააკაშვილის, როგორც მთავარსარდლის, პასუხისმგებლობა. ნებისმიერი პირი, განურჩევლად მისი თანამდებობრივი ცენზისა, ვალდებულია, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მოწმის სახით როცა დაბარებულია დაკითხვაზე და თავს არიდებს დაკითხვის პროცედურას, მაშინ სახელმწიფო და პროკურატურა ვალდებულიცაა, იძულების სახით წარმოადგინოს დასაკითხი პირი და გამოაცხადოს მასზე ძებნა“, – აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე და მიიჩნევს, რომ ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის დასამარების ნაციონალური პროგნოზი თავისუფლად გაქარწყლდება იმ ეტაპობრივი წარმატებებით, რასაც დღევანდელი ხელისუფლების დიპლომატიური მისია აღწევს.

ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური For.ge-სთან საუბარში მიიჩნევს, რომ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარება სამოქალაქო დაპირისპირებისკენ გადადგმული ნაბიჯია. მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ხელისუფლების ცირკში, რადგან ძიებასთან ამას არანაირი კავშირი არა აქვს და სააკაშვილი დაბარებულია არა რომელიმე ერთ კონკრეტულ საქმეზე, არამედ ნამდვილ პოლიტიკურ ნუსხაზე, ჩამონათვალზე.

მანვე ვერ დაადასტურა, სააკაშვილის დაკითხვები გადაიზრდება თუ არა დაკავებაში. უბრალოდ, ფიქრობს, რომ ჟვანიას საქმე ჩაუვარდათ, ამიტომ გადაწყვიტეს, კიდევ ახალი ხმაურიანი საქმე გახსნან.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიგი წერეთელი აცხადებს, რომ საერთაშორისო მნიშვნელოვანი ამბების პირობებში, როცა ყველა გაერთიანებულია რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ, ამ პროცესის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურანტის – სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარების დრო არასწორადაა შერჩეული.

როდესაც დავინტერესდით, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მოითხოვს თუ არა სააკაშვილი პოლიტიკურ თავშესაფარს, გიგი წერეთელმა გვითხრა, რომ დაკავებულია და არ სცალია.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი ანდრო ბარნოვიც ზუსტად ამავე რეპლიკით გამოეხმაურა ჩვენს შეკითხვას სააკაშვილის შესაძლო თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით: **„არ ვიცი, რა სისულელეა, კარგად იყავით“.**

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების პროცედურის შესახებ ვიდეორგოლები განთავსდება

25 მარტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების პროცედურის შესახებ ვიდეორგოლი განთავსდება. როგორც „ინტერპრესნიუსს„ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 1 აპრილიდან მოქალაქეები, რომელთა ხელფასის სახით დარიცხული წლიური შემოსავალი 2013 წელს 6000 ლარს არ აღემატებოდა, დაუბეგრავი მინიმუმის მისაღებად დეკლარაციების შევსებას დაიწყებენ.

2013 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საგადასახადო კოდექსში დაუბეგრავი მინიმუმის ცნება შეიტანა, რაც დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისათვის, რომელთა ხელფასის სახით დარიცხული წლიური შემოსავალი 2013 წელს 6000 ლარს არ აღემატებოდა, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, მაქსიმუმ 360 ლარის უკან დაბრუნებას გულისხმობს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელად იოსებ ბაღათურია დაინიშნა

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ამ პოსტზე იოსებ ბაღათურია წარადგინა. იოსებ ბაღათურიამ აღნიშნულ თანამდებობაზე ლევან სამადაშვილი შეცვალა. ბაღათურია ბოლოს მოსამართლედ მუშაობდა და მისი განცხადება გადადგომის შესახებ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უკვე დააკმაყოფილა.

იოსებ ბაღათურია პროფესიით იურისტია. მან 1993 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა პროკურატურის სისტემაში, ხოლო 2008 წლიდან მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ იყო ზუგდიდის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, საგარეჯოს რაიონული სასამართლოების მოსამართლე. ბოლოს კი ის მოსამართლის საქმიანობას რუსთავის საქალაქო სასამართლოში ეწეოდა.

საეჭვო წარმომავლობის ხორცი იპოვეს!

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ თბილისში, ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „ქართული პროდუქტის“ ხორცის საბითუმო ბაზრიდან 421 კგ საეჭვო წარმომავლობის ხორცი ამოიღეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, აღმოჩენილი ხორცის არც ერთ ნაჭერს არ ჰქონდა დამღა, არ ჩატარებია დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზა. შესაბამისად, რეალიზატორმა ვერ წარმოადგინა ვეტერინარული მოწმობა – ფორმა №2, რის გამოც საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, შპს „ქართული პროდუქტი“ 1000 ლარით დაჯარიმდა. 421 კგ ხორცი დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდება.

ოჰ, ეს მსუნაგი ბანკები!

ჩემი ძველი მეგობარი ვასო ჯორჯაძე, რომელსაც გუშინ შემთხვევით ვაკის პარკში გადავეყარე, თავის ასაკთან შედარებით უფრო მოტეხილი მეჩვენა. რა თქმა უნდა, არ ვაგრძნობინე.

— მშვენივრად გამოიყურები, ძმაო, — შევაგებე, — ეგ თბილი ქურთუკი რომ არა, პენსიონერობას ვერავინ დაგწამებდა.

— აბა, მაისურით ხომ არ ვივლი, შე კაცო, — ჩაიღიმა ულვაშებში, — მარტის არეული თავის ამბავი ხო მოგეხსენება, როდის გამოკრეჭავს კბილებს, კაცი ვერ გაუგებს. ეჰ, უამინდობას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ ამ ცხოვრებისეულ ყიამეთს რას უშვრები?

— არ თქვა ახლა, ვასო, მთავრობას ვემდურიო, თორემ გავგიჟდები კაცი. შე ყურუმსაღო, ეს მთავრობა არ იყო, შარშან სექტემბერში პენსია რომ გაგიზარდა?

— გამიზარდა, ჰო გამიზარდა, — გამოსცრა კბილებში, — იმდენს მაძლევს, აღარ ვიცი, რაში დავხარჯო. ჰოდა, თავგზა რომ არ ამებნეს, „ლიბერთი ბანკმა“ დახმარება შემომთავაზა.

— რა დახმარება? — დავინტერესდი, — თუ ხელს გამომიწვდის, იქნებ მეც გამოვიყენო?

— რატომაც არა, ჩემსავით პენსია თუ არც ჭამაში გყოფნის და არც წამლებში, დაუტოვე ბანკს 3 ლარი და ერთი თვის პენსიას წინასწარ მოგცემენ.

— აგაშენა ღმერთმა, — ჩამოვართვი ხელი, — წინასწარ თუ მომცემენ, ერთბაშად 3 თვის პენსიაზეც არ ვიტყვი უარს. ამ ზამთარს დენისა და გაზის იმხელა გადასახადი მომდიოდა, რომ აღარ ვიცოდი, ფულის სასესხებლად სად გავქცეულიყავი.

— მაგრამ არც მასეა საქმე, შენ რომ ავანსად გამხიარულდი, — მომიჭრა ვასომ, — იმ ბანკმა თავადაც ხეირი თუ არ ნახა, ჩემო ძმაო, მარტო შენი გაჭირვების გამო ტყუილუბრალოდ რატო გაირჯება?

— რატო ტყუილუბრალოდ, მე ხომ წინასწარ აღებული ყოველი თვის პენსიაში 3 ლარს ვუტოვებ?

— კი აბა, 3 ლარად მოგართმევენ. მე ერთ თვეზე გითხარი 3 ლარი, თორემ თვეების მატებასთან ერთად, ბანკი, შესაბამისად, გადასახადის პროცენტსაც ზრდის. დაგიანგარიშებენ და, მაგალითად, თუ 5 თვის პენსიას ერთბაშად აიღებ, დაახლოებით ერთი თვის თანხას ბანკის კეთილმომსახურების საფასურად დაგატოვებინებენ(!).

— ეგ უკვე უნამუსობა და მსუნაგობაა, — ავპილპილდი მე, — განა მასეთი რა მომსახურება უნდა გამიწიონ, რომ გაჭირვებულ პენსიონერს, რომელსაც წამლის შესაძენი ფულიც არ მაქვს, ამხელა თანხა წამგლიჯონ?

— ასეა და, თუ გინდა, ნუ დაემორჩილები. აი, დღესაც, ვიდრე შენ შეგხვდებოდი, „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალში 6 ლარი ამაფცქვნეს.

— რაში, კაცო, არ იტყვი?

— რაში და, ჯარიმაში, ჩემო კარგო.

— ამ უწყინარმა ბერიკაცმა საჯარიმო რა ჩაიდინე? — გავიკვირვე.

— არაფერი, მერიის მიერ სამადლოდ მოცემული სატრანსპორტო ბარათი, რომლითაც შეღავათიანი ტარიფით ვმგზავრობთ, შემთხვევით დავკარგე.

— მერე?

— მერე ისა, რომ მერიის სატრანსპორტო სამსახურის მუშაკებმა 5 ლარით დამაჯარიმეს.

— მერია გასაგებია, მაგრამ ბანკს რაღას ემდური?

— იმას, რომ ეგენიც უნამუსოდ მომექცნენ. ამ უილაჯო ბერიკაცს ჯარიმა რომ ამკიდეს ის არ მეყოფობა, რომ ახლა კიდე ამათ ლარი არ დაემატებინათ?

— ეგ ლარი რაღაშიო, არ განგიმარტეს?

— ჩვენი მომსახურების გასამრჯელოშიო. აბა, ეს არი მაგათი მორალი? ჯარიმის ქვითრის გამოწერაში ისეთი რა ოფლი ღვარეს, რომ ფულით აინაზღაურეს?

ამის გამგონე, აბა, რით გავამხნევებდი ბერიკაცს. ვასოს კი მაშინვე დავემშვიდობე, მაგრამ ჩვენებურ ბანკებზე ფიქრი ისე ამეკვიატა, კარგა ხანს ვეღარ მოვიცილე. მე თქვენ გეტყვით, მათი „ნაღვაწარიდან“ ვერაფერს გავიხსენებთ, გნებავთ, თუნდაც კომუნალური გადასახადების მიღებისას ბანკების მიერ დაწესებულ დრაკონულ სამომსახურო (თავიდან ასე დაარქვეს) ტარიფს.

ყველას ახსოვს ის პერიოდი, როცა მოსახლეობა დენის, გაზისა და წყლის საფასურს ამავე დარგების კომპანიების მიერ გამოყოფილ სპეციალურ პუნქტებში იხდიდა ზუსტად იმდენს, რამდენსაც ხარჯავდა და საპრეტენზიოც არაფერი ჰქონდა. მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე „რევოლუციური რეფორმების“ კვალობაზე, ხსენებულმა კომპანიებმა მოსახლეობისგან გადასახადების მიღების ეს „არქაული ტვირთი“ თავად ჩამოიხსნეს და კომერციულ ბანკებს გადაულოცეს, თქვენ დიდი თავი გაბიათ და ტირილი მოგიხდებათო. თავიდან ბანკები „უცერემონიოდ“ ასრულებდნენ ამ მოვალეობას, მაგრამ შემდეგ გზადაგზა „გონს მოეგნენ“ და გაჭირვებულ მოსახლეობას, რომელიც გადასახადებისგან ისედაც წელში წყდებოდა, მომსახურების სანაცვლოდ საკომისიო გადასახადი დაუწესეს.

რამდენი, არ იკითხავთ? თავიდან ყველა სახეობის გადასახადზე (დენი, გაზი, წყალი, ნაგავი) ერთად აღებულ 50 თეთრს ახდევინებდნენ, მაგრამ შემდეგ მადა გაუღვივდათ და ეს 50 თეთრი ყველა ამ გადასახადზე სათითაოდ სავალდებულო გახადეს. იყო პერიოდი, როცა ცალკეული ბანკები „მორცხვობდნენ“ და მომხმარებელს მომსახურებისას არაფერს ახდევინებდნენ, მაგრამ ბოლოს სულწასულობამ და სიმსუნაგემ ყველაფერს სძლია და ხარკი მომსახურებისთვის ყველგან სავალდებულო გახადეს.

დღეს კომერციული ბანკები საქართველოში ხელიდან არ უშვებენ რაც შეიძლება მეტი სარგებლის მიღების ისეთ შანსს, როგორიც გახლავთ საბანკო მარჟა, ანუ ფინანსურ ენაზე „თარგმნილი“ — სპრედი. ეს გახლავთ სხვაობა სესხისა და დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთს შორის, რომელიც გვიჩვენებს, თუ მოზიდულ სახსრებზე დამატებით რამდენ სარგებელს ამატებს ბანკი, როდესაც მას კრედიტად გასცემს. 2013 წლის მონაცემებით, ამ წელს ქვეყნის საბანკო სისტემაში დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი განაკვეთი თუ იყო 7,3 პროცენტი, სესხებზე მან შეადგინა 15,9 პროცენტი, ანუ 2,2-ჯერ მეტი. ამ შემთხვევაში სპრედი უტოლდება 8,6 პროცენტს, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2-2,5 პროცენტს არ აღემატება.

უღმერთოდ ატყავებენ მოსახლეობას ბანკები ვალუტის გადახურდავებისას, ან, გნებავთ, სესხის გასტუმრებისას. საქმე ის არის, რომ ბევრს შემოსავლები ეროვნულ ვალუტაში აქვს და სესხის გასტუმრების დროს ვალუტის კონვერტაცია უწევს. იმის გამო, რომ მომხმარებელი ხშირად კონვერტაციას ბანკშივე ახორციელებს, ბანკები სარგებლობენ ამით და მას დაბალი საგადამცვლელო კურსით გარკვეულ თანხას აკარგვინებენ. ბანკებს შორის ყველაზე დაბალი კურსი „საქართველოს ბანკშია“, სადაც არ დაიზარებენ 1 დოლარში 1,70 ლარი გადაგიხადონ, ხოლო იმავე მომენტისთვის თუ გაყიდით, დოლარში 1,74 ლარი გიანგარიშონ(!). თუ შევადარებთ ბანკებსა და ჩვეულებრივ სავალუტო ჯიხურებს შორის ვალუტის კურსებს, ვნახავთ, რომ ბანკები ბევრად წამგებიან პირობებს სთავაზობენ კლიენტებს, ვიდრე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები. შესაბამისად, ვალუტის კონვერტაციისას ბანკები გაცილებით მეტ თანხას სძალავენ მოსახლეობას, ვიდრე რიგითი სავალუტო ჯიხურები. ეტყობა, ესეც თავისებური საბანკო პრიორიტეტია!

კომერციული ბანკები სათავისოდ შესანიშნავად იყენებენ ასევე კანონით მინიჭებულ უფლებას — საკუთარი სააქციო კაპიტალის 50 პროცენტი განათავსონ არაპროფილურ ბიზნესში. რა დასამალია, მას შემდეგ, რაც ბანკებს ამ კანონით ხელ-ფეხი გაეხსნათ, დაიწყო მათ მიერ ბიზნესის ანექსია. დღეს ბანკები ფლობენ სადაზღვევო კომპანიებს, სამშენებლო და სამედიცინო დაწესებულებებს, ღვინის კომპანიებს, ტურისტულ სააგენტოებს, ფიტნეს კლუბებს და რას აღარ. ამის შემდეგ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბანკმა კრედიტის გაცემისას პრიორიტეტი მიანიჭოს საკუთარ კომპანიას და არა კონკურენტს, რომელიც მიდის ბანკში სესხის ასაღებად. ფაქტობრივად, ასეც ხდება, რაც ბიზნესის განვითარებისთვის დიდად შემაფერხებელია.

აღარაფერს ვამბობ ბანკების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთების თაობაზე და, აქედან გამომდინარე, იმ მძიმე ურთიერთობაზე, რაც ბანკებსა და კრედიტორებს შორის იქმნება. ლაპარაკია კომპანიათა მთელ წყებაზე, ვისაც ბანკმა სესხი მისცა, შემდგომ დაბრუნება ერთბაშად და ვადაზე ადრე მოსთხოვა, რისი შესრულებაც, ბუნებრივია, მსესხებლებმა ვერ შეძლეს და ბანკებს „ჩაბარდნენ“.

ამ ყველაფრიდან კარგად ჩანს, ბანკები როგორ „ზრუნავენ“ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისთვის. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემების (2012 წლის მდგომარეობით) მიხედვით, საქართველო ყველაზე ძვირი კრედიტების მქონე ქვეყნების ოცეულშია შეყვანილი. თუმცა, ამ რამდენიმე დღის წინათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ უარყო შეფასება, რომ საქართველოში კრედიტებზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთებია და საბანკო სექტორს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ლოკომოტივი უწოდა. ბანკები „ლოკომოტივია“ თუ „მუხრუჭი“, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

ოთარ ხუციშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

შალვა რამიშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში თანამდებობას ტოვებს

შალვა რამიშვილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტს ტოვებს. ინფორმაცია, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა, რამიშვილმა გუშინ დაადასტურა.

„ძვირფასო მეგობრებო, უკვე სამ თვეზე მეტია, ველაპარაკები ერთ-ერთ ტელევიზიას ამ უკანასკნელის ეთერში შოუს გაკეთებს თაობაზე. თვის ბოლოს ამ გადაწყვეტილებას ოფიციალურად გავაფორმებ. მანამდე კი ადმინისტრაციაში ვარ დაკავებული მიმდინარე საქმეების დამთავრებით.

არსებული ინფორმაციით, შალვა რამიშვილი გადაცემას „იმედზე“ წაიყვანს.

შსს-მ თაღლითობის ფაქტზე ადვოკატი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა თაღლითობის ფაქტზე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი მალხაზ შვიდბიჭაშვილი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ მალხაზ შვიდბიჭაშვილი მოქალაქე გივი ო-ს აუქციონის შედეგების გაუქმებას და მიწის ნაკვეთის დაბრუნებაში დახმარებას დაპირდა, რასაც იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მაღალჩინოსნებისთვის 50000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ მოახერხებდა.

მალხაზ შვიდბიჭაშვილმა მოტყუებით, თაღლითურად, თითქოსდა სასამართლო ინსტანციებში პროცესების მოგების სანაცვლოდ, გივი ო-ს 2012 წლის სექტემბერში 25000 აშშ დოლარი, ხოლო 2013 წლის თებერვალში 15000 აშშ დოლარი გამოართვა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქურდული სამყაროს წევრები დაატყვევეს

შსს-ს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს და ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ბათუმსა და ლაგოდეხში ერთდროულად ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ე.წ. ქურდული სამყაროს 5 წევრი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ქურდული სამყაროს წევრობის და ჯგუფურად გამოძალვის ბრალდებით დაკავებულები არიან წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი — 1969 წელს დაბადებული რომან დ, 1968 წელს დაბადებული თენგიზ ც, 1981 წელს დაბადებული ოთარ ძ, 1983 წელს დაბადებული გენო დ. და 1986 წელს დაბადებული მინდია თ. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ე.წ. ქურდული წესების დაცვით მოწყობილი გარჩევებისას, დაშინებით და მუქარის გზით, მოქალაქეებს სხვადასხვა ოდენობით თანხას სძალავდნენ.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის და ჯგუფურად გამოძალვის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 223-ე პრიმა მუხლით და 181-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

სასჯელაღსრულების სამინისტრო გეგუთის ციხეში პატიმრის გარდაცვალების შესახებ განცხადებას ავრცელებს. „2014 წლის 23 მარტს, სასჯელაღსრულების 314 (გეგუთის) დაწესებულებაში 1988 წელს დაბადებული მსჯავრდებული ა.მ. გარდაიცვალა. მომხდარი მალევე ეცნობა ოჯახს. სიკვდილის გამომწვევი მიზეზის დასადგენად კი დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა“, — ნათქვამია უწყების განცხადებაში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი ფაქტის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო.

ინტერპრესი

◎ რეპორტაჟი

შორს ყაჩაღები ყაჩაღიანიდან!

თბილისიდან საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს დასაცავად პარასკევს ჩასულებმა (ადგილობრივებთან ერთად) ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ცოცხალი ჯაჭვი შემოავლეს იმ ბორცვს, რომელზეც ისტორიული მაღარო მდებარეობს. შემდეგ დაახლოებით 700 მეტრის მოშორებით სახელდახელო მიტინგზე მეგაფონით მოთხოვნები წაიკითხეს და უკან, თბილისისკენ გაბრუნდნენ.

აქცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო — თბილისიდან ჩავიდა: სამი ავტობუსი, ამდენივე მიკროავტობუსი და უამრავი მსუბუქი მანქანა.

აქციას თან ახლდა ხმაური, რადგან იმ ბორცვთან მიახლოება, რომელზეც უძველესი ოქროს მაღაროა, ბევრმა სცადა, მათ შორის მეც ვიყავი. ეს ხდებოდა დაახლოებით 13 საათზე. ბრძოლით თითქმის ბოლომდე ავედი, მეგონა ჩემთან ერთად ბევრი მოდიოდა, მაგრამ მაღლა ასულმა, უკან რომ მოვიხედე სულ რამდენიმე ადამიანი დავინახე: ერთი ახალგაზრდა კაცი, 40 წლამდე, გვარად თორდია; სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტი გიორგი მგელაძე, ოპერატორთან ერთად; საინფორმაციო სააგენტო „გურიანიუსის“ კორესპონდენტი ეკა ალფაიძე და ჟურნალისტი მადლენ მაჭარაშვილი.

ქვევით ხმაური იყო, პოლიციელთა რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა. ზევით ასულებმა ვნახეთ, რომ ის ბორცვი, რომელზეც უძველესი ოქროს მაღაროა, გარშემო რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ბულდოზერითაა მოჭრილი. იქვე ეყარა ფესვიანად მოგლეჯილი ხეები, რამდენიმე ადგილას ეწყო ცისფერი ნივთიერებით სავსე ტომრები, მიწაში ადგილ-ადგილ შავი ფერის ფართო მილები იყო ჩარჭობილი, იქვე იდგა ბულდოზერი და რკინის ვაგონი.

ჩემს წინ „ცოცხალი კედელი“ აღმართეს კომპანია „არემჯი გოლდის“ წარმომადგენლებმა. ეს ხდებოდა მაღაროდან დაახლოებით 15 მეტრში. ისინი მაღაროსთან უფრო ახლოს მისვლის საშუალებას არ მაძლევდნენ. ამბობდნენ ტყუილს, რომ ტერიტორია არის კერძო კომპანიის საკუთრება და რომ იქ შესვლის უფლება სპეციალური ნებართვის გარეშე არავის აქვს. მზად ვიყავი, რომ ჩანთა, ფოტოაპარატი, ჩამწერი, ტელეფონი მიწაზე დამედო და პოლიციელებთან, ან „არემჯის“ წარმომადგენლებთან ერთად მაღაროში შევსულიყავი, მაგრამ არც ამის საშუალება მომცეს. არადა, ერთადერთი მიზანი მქონდა — მაღარო დამეთვალიერებინა და ნანახის შესახებ მკითხველისთვის მომეთხრო.

მე წინ მივიწევდი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კერძო კომპანიის თანამშრომლები კი ამის საშუალებას არ მაძლევდნენ. არაერთხელ მომაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, „შენ ქალი არა ხარ, ცხოველი ხარ“-ო... ბოლოს ყველა მათგანმა მომიბოდიშა. პროტესტს დროდადრო იმ სასტვენით გამოვხატავდი, რომლითაც სხვა ჟურნალისტებთან ერთად მერვე საპყრობილესთან ვაპროტესტებდი სააკაშვილის რეჟიმის დროს ფოტორეპორტიორების დაპატიმრებას. ქვემოთაც ჰქონდათ სასტვენები და ისინიც ანალოგიურად იქცეოდნენ.

ხმაური რამდენიმე საათი ისმოდა. ლურჯ ფორმაში გამოწყობილი პოლიციელების რაოდენობაც ხმაურისდაშესაბამისად იზრდებოდა. მოგვიანებით ჩემთან ერთად მყოფები ქვემოთ ჩავიდნენ. მე დავრჩი მარტო „არემჯის“ წარმომადგენლებთან და პოლიციელებთან ერთად. ქვემოდან ამოვიდა პოლიციის შავ ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, გამეცნო, როგორც კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელი და თავაზიანი ფორმით მთხოვა ქვევით ჩავსულიყავი. კანონს ვარღვევ აქ, რომ ვდგავარ-მეთქი? — ვკითხე. არა, ეს უბრალოდ ჩვენი თხოვნაა, — მითხრა და ქვევით ჩავიდა.

ქვევით, რამდენიმე მეტრის მოშორებით მყოფთა შორის დიდხანს იყვნენ ახალგაზრდული ორგანიზაცია „დავითიანნის“ წევრები. ბოლოს, ყველა რომ წავიდა და სიმშვიდემ დაისადგურა, ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა კაცი და გამეცნო, როგორც „არემჯი გოლდის“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ედიშერ ცქვიტარია. არაერთხელ გავიმეორე ჩემი მოთხოვნა, მაგრამ ამაოდ — ვერ შეხვალო, მითხრა ბატონმა ცქვიტარიამ და წავიდა.

რომ დაბინდდა (რვას აკლდა 15 წუთი), ბულდოზერს და იქ მყოფებს რამდენიმე ფოტო გადავუღე, ქვემოთ ჩამოვედი, მედია-კავშირ „ობიექტივის“ მანქანაში ჩავჯექი და თბილისში წამოვედი, სადაც ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შევიტყვე, რომ თუ მათ მოთხოვნებს არ შეასრულებენ, საყდრისის დასაცავად თბილისიდან მომზადებულები ჩავლენ, კარვებს გაშლიან და ამგვარი ფორმით გააგრძელებენ ბრძოლას საყდრისის გადასარჩენად.

მოთხოვნები, რომელიც 22 მარტს ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა გაახმოვანეს, ასეთი შინაარსისაა:

„1. ბათილად იქნას ცნობილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 13 მარტის გაყალბებული დასკვნა და შესაბამისად, აეკრძალოს „არემჯი გოლდს“ საყდრისი-ყაჩაღიანის სიახლოვეს ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება;

2. სასწრაფოდ მოხდეს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ძეგლის დათვალიერება საზოგადოების წარმომადგენელთა, ჟურნალისტთა და იმ არქეოლოგთა თანხლებით, რომლებიც ობიექტს იცნობენ და საზოგადოების ნდობას იმსახურებენ;

3. საყდრისი-ყაჩაღიანის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სასიკეთოდ განვითარების გზების დასადგენად, მოწვეულ იქნას სამთო არქეოლოგიის სპეციალისტთა საერთაშორისო კომისია შემადგენლობით:

კორკის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი უილიამ ო ბრაინი; ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი გერტ გოლდენბერგი; მადრიდის ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი, დოქტორი იგნასიო მონტერო რუისი; ტულუზის უნივერსიტეტის დოქტორი ბეატრის კოუე; სოფიის მეცნიერებათა აკადემიის მკვლევარი, პროფესორი, დოქტორი ხრისტო პოპოვი“.

ნინო მიქიაშვილი,
სპეციალურად
„საქართველოს რესპუბლიკისთვის“.

სურათებზე: თბილისიდან ჩასული ახალგაზრდები საყდრისისკენ მიემართებიან; ქართულ მედიასაშუალებებთან ერთად 22 მარტის აქცია „ბი-ბი-სი“-მაც გააშუქა; ეს ბულდოზერი საყდრისის უძველეს ოქროს მაღაროსთან ძალიან ახლოს დგას.

◎ სამოქმედო კალათა

150 ლარი — საარსებო მინიმუმის მაქსიმუმი

საარსებო მინიმუმი კიდევ ერთხელ იქცა ეკონომისტებისა და საზოგადოების განსჯის საგნად. საქმე ისაა, რომ ბოლოდროინდელი ინფლაციისა და პროდუქციის გაძვირების ფონზე, საარსებო მინიმუმი თითქმის არ შეცვლილა და კვლავაც 150 ლარის ფარგლებში ტრიალებს. ეს კი არადა, 2003 წლიდან მოყოლებული, მინიმუმი სულ რაღაც 30 ლარით გაიზარდა, არადა, უკანასკნელი ათწლეულის ინფლაციის მასშტაბები ყველასთვის აშკარა და მტკივნეული იყო.

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი ხელისუფლებას სთავაზობს, რომ საარსებო მინიმუმის გამოთვლის მეთოდიკა შეიცვალოს, რათა ის რეალობას მოერგოს. მათ უკვე შემუშავებული აქვთ მინიმალური სასურსათო და არასასურსათო კალათის ვირტუალური მოდელი, თუ როგორ შეიძლება დაანგარიშდეს საარსებო მინიმუმი, რომელიც გათვლილი იქნება დღეს არსებულ პირობებსა და სამომხმარებლო ფასებზე.

როგორც ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთი კრიალაშვილმა განაცხადა, მეთოდოლოგიაში, რომლითაც დღეს საარსებო მინიმუმი იანგარიშება, არის ხარვეზები, რაც ეხება მინიმალურ სასურსათო კალათაში შემავალ პროდუქტს.

„ჩვენისთანა ქვეყნისთვის, სადაც სასურსათო პროდუქტები სხვა ქვეყნებთან შედარებით იაფია, ვიდრე სხვა არასასურსათო პროდუქტები, ეს პროპორციები არ არის რეალური. ამასთან, მინიმალურ სასურსათო კალათაში 40 დასახელების სურსათში არ არის შეტანილი მწვანილი, კიტრი და სხვა პროდუქტები. სურსათის ხვედრითი წილი არის არასწორად გადანაწილებული, რის გამოც კალორიულობის კრებსითი ჯამი 2300 კილოკალორიაა, მაშინ, როცა კალორიულობა უნდა შეადგენდეს 2500 კილოკალორიას. თუ 2300-დან 2500-მდე ავალთ, ნიშნავს იმას, რომ 150 ლარს გადავაჭარბებთ. თუ გვინდა, რომ ევროკავშირში შევიდეთ, რაღაც სტანდარტებიც უნდა მივიღოთ, რადგან ევროკავშირის ქვეყნებში კილოკალორაჟი 2700-ზე ნაკლები არ არის“, — განაცხადა ქეთი კრიალაშვილმა.

ეკონომიკის მეცნირებათა დოქტორი რამაზ გერლიანი აცხადებს, რომ სტატისტიკის სამსახური საარსებო მინიმუმს ითვლის ხუთი ქალაქის მიხედვით და 2003 წლიდან დღემდე ეს მეთოდოლოგია რჩება უცვლელი. მასში გამოტოვებულია ისეთი მსხვილი რეგიონები, როგორიც არის სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთი, მარნეული. მათი ბაზრების დათვლის გარეშე კი საარსებო მინიმუმი რეალური არ იქნება.

„იმისათვის, რომ საარსებო მინიმუმი რეალობას მოერგოს, უნდა შეიცვალოს კვლევის მეთოდოლოგია. საარსებო მინიმუმში სასურსათო კალათის ხვედრითი წილი (70 პროცენტი) დიდია და ის უნდა დავიდეს დაახლოებით 55 პროცენტამდე, ხოლო დანარჩენი ხარჯების ხვედრითი წილი გაიზარდოს 45 პროცენტამდე. ეს მეორე ძირითადი ხარვეზია, რადგან სხვა ქვეყნებში სასურსათო პროდუქტს ყველგან ნაკლები პროცენტი უჭირავს, ვიდრე არასასურსათოს.

ეს არის 2003 წლის ბრძანებით მიღებული მეთოდოლოგია, როდესაც 2003 წელს ამ მეთოდოლოგიით დათვალეს, საარსებო მინიმუმმა შეადგინა 130 ლარი, გავიდა 10 წელი და 150 ლარს არ გადაჭარბა ამ თანხამ. ბუნებრივია, ისმის კითხვა - 2003 წლის 130 ლარი ინფლაციის გათვალისწინებით 10 წლის შემდეგ როგორ ვერ გახდა 150 ლარზე მეტი?“ — აღნიშნა გერლიანმა სააგენტო „მედიანიუსთან“ საუბრისას.

ის ფიქრობს, რომ დათვლის მეთოდოლოგიის შეცვლა გამოიწვევს მთელი რიგი სოციალური პაკეტის ცვლილებას, გაჩნდება მოთხოვნა, რომ პენსიაც გაუსწორდეს საარსებო მინიმუმს. თუმცა, თუ საარსებო მინიმუმი გათვლილი იქნება ჯანსაღ კვებაზე, შემცირდება სოციალური პაკეტების მომხმარებელთა რიცხვი.

საქართველოს მთავრობაში აღიარებენ, რომ საარსებო მინიმუმზე მუშაობა საკმაოდ გრძელვადიანი და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა. ცოტა ხნის წინ საქართველოს ფინასთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებთან საუბრისას ეს აღიარა კიდეც.

მინისტრის თქმით, საარსებო მინიმუმის დაანგარიშების არსებულ მეთოდიკას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ახლა ამუშავებს.

„სპეციალისტები ასევე მუშაობენ მის დაანგარიშებაზე. ეს საკმაოდ გრძელვადიანი და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

აღსანიშნავია, რომ „საქსტატის“ ინფორმაციით, 2014 წლის იანვრისათვის შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 154,2 ლარს შეადგენდა.

გეძა დანელია

ს/კ „კათარზისის“ 2013 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, ფინანსური ანგარიში და ბალანსი

პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ის, რითაც ჩვენ ყოველდღიურად ვართ დაკავებული, ანუ სისტემატიური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.

სისტემატიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, წინასწარი სამედიცინო დათვალიერების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, სოციალური ქსელების სამსახური, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი, კაფე, ბიბლიოთეკა, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, ხანდაზმულთა ხალხური, კლასიკური და საესტრადო გუნდები, აგრეთვე ინვალიდთა თეატრი.

ორგანიზაციას აქვს თავისი პატარა სასაფლაო მუხათგვერდის ტერიტორიაზე, სადაც იმ ადამიანთა დაკრძალვა ხდება, ვინც ბოლო მიწიერ საქმეშიც ღვთის ანაბრად არიან დარჩენილნი.

სამადლო სასადილო თბილისში ყოველდღიურად 310 ადამიანს ემსახურება; 14 ხანდაზმული ქალბატონი თავშესაფარშია განთავსებული; 17 მწოლიარეს ყოველთვიურად მიეწოდება ბინაზე მშრალი პროდუქტები; 140 გაჭირვებულს წელიწადში ორჯერ (საშობაოდ და სააღდგომოდ) მიეწოდებათ მოცულობითი დახმარება პროდუქტებით.

სასადილოში დასაპურებელ ადამიანთა რაოდენობა განისაზღვრება ორგანიზაციის ეკონომიკური მდგომარეობით. ექვს თვეში ერთხელ სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, როგოც წესი, ეწვევიან ხოლმე ქალაქში მოქმედ სხვა უფასო სასადილოებს და ამოწმებენ - ორ ადგილას ხომ არ სადილობს ერთი და იგივე ბენეფიციარი.

უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს სასადილოს მომსახურებით, აგრეთვე სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს. სულ სამედიცინო აღრიცხვაზე აყვანილ ადამინთა რაოდენობა ათასს სჭარბობს. საპარიკმახეროთი უფასო სარგებლობის შესაძებლობა აქვს ნებისმიერ მსურველს (ბუნებრივია, ბენეფიციართა ჩათვლით), რომელიც ამგვარი თხოვნით მიმართავს სახლის დედას.

ხანდაზმულთა გუნდი, საესტრადო თუ სხვა ჯგუფები და ნოსტალგიის თეატრი, ადგილობრივი ძალებითაა ჩამოყალიბებული. გართობა-დასვენების სამსახურები, ანუ ის ადგილები, სადაც ტალანტების გამოვლენა ხდება, ჩვენი ინვალიდებისა და მოხუცების სუსტი წერტილია; ისინი გამუდმებით დავობენ, რადგან ვერ ინაწილებენ სარეპეტიციო დროს, მიაჩნიათ, რომ ერთი გუნდი მეორეზე მნიშვნელოვანია, და, რა თქმა უნდა, აქვთ მაღალი ამბიციები.

ტანსაცმლის შეკეთების სამსახური მარტივ საქმეებზეა ორიენტირებული; ღილების დაკერება, ელვა შესაკრავის შეცვლა, სამოსის დაგრძელება-დამოკლება, ახლის შეკერვა და ა.შ., რაც ძირითადად ხანდაზმულ მამაკაცებს სჭირდებათ, რომლებიც ქალურ მზრუნველობას მოკლებულნი არიან.

ჩვენი სამლოცველოს ოთხივე კედელი და ჭერი შესრულებულია თანამედროვე ხატმწერების მერაბ ჩაკვეტაძისა და დავით ხიდაშელის მიერ. ხატწერაში დაცულია მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა კანონიკური მოთხოვნა. სამლოცველოში ყოველი კვირის ორშაბათს იმართება ლოცვები.

„კათარზისში“ გახსნილია ქალთა თავშესაფარი მათთვის, ვისაც არსად წასასვლელი არა აქვს. დღეისათვის გვყავს 14 ხანდაზმული. მათი სამჯერადი კვება, საექიმო თუ ყველა სხვა მომსახურება, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი სამსახური „კათარზისში“, უფასოა.

პ რ ო ე ქ ტ ე ბ ი:

„წლის ბებია-ბაბუა - 2013“

2013 წლის 6 იანვარს, ტრადიციისამებრ, ჩატარდა ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა-კონკურსი წლის „ბებიასა“ და „ბაბუას“ წოდებების მოსაპოვებლად. ხანდაზმულები, რომლებმაც გაიარეს შესარჩევი ტური, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ცეკვასა და სიმღერაში.

ცნობილი სახეებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები; წლის „ბებია-2013“ გახდა ლირა არაბული, ხოლო „ბაბუა-2013“ - ვლადიმერ ხანგურაშვილი. კონკურსში გამარჯვებულებს და ყველა მონაწილეს გადაეცათ ფულადი პრემიები და საჩუქრები.

ღონისძიებას თვალყურს ადევნებდა „კათარზისში“ მოსული ყველა მსურველი მათთვის სპეციალურად მოწყობილ მონიტორებზე.

„სადილი ყველას“

გრძელდება პროექტი „სადილი ყველას“. პროექტის მიზანია დავაპუროთ ყველა ის ადამიანი, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა. ამისათვის ვცდილობთ ხმა მივაწვდინოთ ყველას, მაგრამ პირველყოვლისა მიუსაფარ მარტოხელებს, ლტოლვილებს, ე.წ. ქუჩის ბავშვებსა და სოციალურად დაუცველ სხვა ადამიანებს. ამ მიზნით, ღონისძიებამდე 5-6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ტრანსპარანტი წარწერით „სადილი ყველას“, რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი.

2013 წლის პირველი ასეთი აქცია ჩატარდა 7 იანვარს. საშობაო ღონისძიების სპონსორი იყო ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“. ამავე კომპანიის სპონსორობით გაჭირვებული მოსახლეობა დაპურდა საადგომოდ - 14 აპრილს და საკუთარი ორგანიზაციის დაბადების დღეს - 14 ნოემბერს. (თითოეული აქციის ბიუჯეტი შეადგენდა 5394 ლარს.)

14 იანვარს უქონელი თბილისელების მასპინძელი გახლდათ შპს „ეფორი“, ხოლო 19 იანვარს, „ნათლისღების“ და 28 აგვისტოს, „მარიამობის“ სადღესასწაულო აქციები დააფინანსა „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერმა“.

2013 წელის 19 აგვისტოს, 28 სექტემბერს, „მცხეთობას“ - 14 ოქტომბერს, „გიორგობის“ დღესასწაულზე - 23 ნოემბერს და 19 დეკემბერს - წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს „სადილი ყველას“ აფინანსებდა „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“ (1200 ლ.) და მისი მეგობარი კომპანიები: „თ და რ დისტრიბუშენი“ (500 ლ.), „თ და კ რესტორნები“ (1200 ლ.),„ჭყონია და კომპანია“ (500 ლ.), „კასტელ ჯორჯია“ (1000 ლ.),„ჭყონია ტრანსპორტ გრუფი“ (500 ლ.), „ა.მ.ბ.“ (1000 ლ.) ჯამური თანხით - 5900 ლარი.

„შეეწიეთ უპოვართ“

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პროექტი „შეეწიეთ უპოვართ“, რომელიც „კათარზისის“ 310 ბენეფიციარისათვის უფასო სადილის დაფინანსებას ითვალისწინებს. ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით სპონსორის სურვილის შესაბამისად (ერთ ადამიანზე ერთი ლარის და 25 თეთრი გათვალისწინებით) ხორციელდებოდა 1-დღიანი (385 ლ.), 2-დღიანი (770 ლ.) დ ა. შ. ხანგრძლივობის პროექტები, რაც ჩვენი ხანდაზმულების სადილებს ნოყიერს, კალორიულს და გემრიელს ხდის.

იუბილეები

კვლავ განვაგრძობთ ხანდაზმულთათვის იუბილეების აღნიშვნას. ყველა მოხუცს, რომელსაც მრგვალი თარიღი უსრულდება, ვუწყობთ სამახსოვრო საღამოს და ვაჩუქრებთ ფულადი პრემიით - 100 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, ვმართავთ შეხვედრებს ჩვენს ბენეფიციარებთან. თითოეულ შეხვედრაზე 2-3 მათგანის წარსულს ვეცნობით. ისინი გვიყვებიან თავიანთი წარმომავლობის, ოჯახების, საქმიანობის, ცხოვრებისეული წარმატებებისა თუ წარუმატებლობის, დღევანდელობის შესახებ.

სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი

2013 წელს „კათარზისში“ მოეწყო სარეაბილიტაციო-სავარჯოშო დარბაზი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია ხანდაზმულებისათვის, როგორც სხვადასხვა დაავადებების პრევენციის, ისე უკვე გადატანილი მძიმე დაავადებების: ინფარქტის, ინსულტის, ხერხემლის პათოლოგიების და ა.შ. რეაბილიტაციისთვის, რისი ფინანსური შესაძლებლობა მოსახლეობის ამ კატეგორიას არ გააჩნია და არც ერთი სადაზღვევო პაკეტით არ არის გათვალისწინებული. კვალიფიციური სპეციალისტი ურჩევს ხანდაზმულებს მათი ჯანმრთელობისათვის შესატყვის ვარჯიშებს, ხოლო სათნოების ძმები ეხმარებიან მათ ამ რეკომენდაციების სწორად განხორციელებაში.

ამ სამსახურისათვის გამოიყო და გარემონტდა საათანადო ფართი (სარემონტო ხარჯი - 1900 ლარი). შეძენილ იქნა ინვენტარი, საჭირო მოწყობილობები და აღჭურვილობა, რომლის თანხამ შეადგინა 16990 (თექვსმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარი.

კაფე

„კათარზისში“ სოციალური დახმარების სამსახურები ხანდაზმულთა მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება. წელს მათ ყველაზე დიდი სურვილი ავუსრულეთ: მოვუწყვეთ კაფე (ბიუჯეტი - 25453 ლ.). ვინაიდან 310-ზე მეტი ადამიანი მთელ დღეს ჩვენთან ატარებს, უნდოდათ ჰქონოდათ თავშეყრისა და დასვენების ისეთი ადგილი, სადაც შეძლებდნენ ესაუბრათ ფინჯან ჩაიზე, ყავაზე, აღენიშნათ დაბადების დღეები და სხვადასხვა დღესასწაულები, მოესმინათ მუსიკა, გაემართათ შეხვედრები, მიეღოთ სტუმრები და ა.შ.

ამ სამსახურის შექმნით ბენეფიციარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი და სასურველი ადგილი მივიღეთ - კაფეს ყოველდღიურად 150-ზე მეტი ხანდახმული სტუმრობს.

ტანსაცმლით დახმარებისა და შეკეთების სამსახური

2013 წელს გარემონტდა და ინვენტარით აღიჭურვა მეორადი ტანსაცმლით დახმარების და შეკეთების სამსახური (საერთო ხარჯი - 4765 ლ.): მოეწყო ოთახი სამოსის მოსარგებად, დამზადდა თაროები და საკიდები, რაც შესაძლებლობას იძლევა ტანსაცმელი დავახარისხოთ ქალისა და მამაკაცის, სეზონური თუ სხვა კატეგორიების მიხედვით და ამით ხანდაზმულებს გავუმარტივოთ სამოსის შერჩევა. შევიძინეთ საუთავებელი, გამოსაჭრელი მაგიდები და სხვა ინვენტარი, რითაც გავზარდეთ ტანსაცმლის გადაკეთების სამსახურის მუშაობის ხარისხი და სისწრაფე.

საბლოცველოში

„კათარზისის“ სამლოცველოში ჩვენი ბენეფიციარებისათვის კვირაში ერთხელ ტარდება ლოცვა,რომელსაც უძღვება მამა დავითი (გელა თავაძე). აღსანიშნავია, რომ სანთელს სუფთა ცვილისაგან ჩვენი ორგანიზაციის სასანთლეში ვამზადებთ.

სოციალური ქსელები

2013 წელს „კათარზისში“ მოვაწყვეთ სოციალური ქსელების ოთახი, რომელიც ოთხი პერსონალური კომპიუტერისაგან შედგება და უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აქ ნებისმიერ ბენეფიციარს შეუძლია შეისწავლოს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ისარგებლოს ინტერნეტსივრცით, დაუკავშირდეს ნაცნობ ადამიანებს, გაერთოს თამაშებით და ა.შ. ამ სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც გარდა სწავლებისა, პრაქტიკულადაც ეხმარება ხანდაზმულებს და თვალყურს ადევნებს მიმდინარე პროცესებს.

რელაქსაციის ოთახი

2013 წელს, ხანდაზმულთა თხოვნით, მოვაწყვეთ ოთახი რელაქსაციისათვის. ეს არის ადგილი უდიდესი, ულამაზესი გალიით, სადაც დღეისთვის 22 ამადინი (ფრინველის სახელწოდება) ბინადრობს. მათი ჟღურტული სიმშვიდისა და განტვირთვისათვის საუკეთესო გარემოს ქმნის. აქ ხშირად ნახავთ სავარძელში ტკბილად მიძინებულ ბებიას ან ბაბუას...

მოსკოვის გამზირის დროებითი თავშესაფარი (კარვები)

2013 წლის 15 დეკემბრიდან „კათარზისი“ ჩართულია ქ. თბილისში ზამთრის პერიოდში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით მიმდინარე სამთავრობო პროექტში. „კათარზისი“ მოსკოვის გამზირის მიმდებარედ მოწყობილ 21 კარავში განთავსებულ 200-ზე მეტ ბენეფიციარს უზრუნველყოფს (ერთ პირზე ერთი დღის განმავლობაში მომსახურების ღირებულება შეადგენს 6 (ექვსი) ლარს) ორჯერადი კვებით, საყოფაცხოვრებო და პირადი ჰიგიენის ნივთებით და უწევს 24-საათიან ადმინისტრაციულ კონტროლს.

ეკონომიკური საქმიანობა

ერთადერთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია „კათარზისი“ აწარმოებს, არის ფართების გაქირავება. დღეისთვის იჯარით გაცემული გვაქვს 147 კვმ ფართი.

P. S. 2013 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია: პროგრამული ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) განთავსებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ზაურ-ოლეგ ალადაშვილი,
„კათარზისის“ პრეზიდენტი

ს/კ „კათარზისი"

მოგება და ზარალის ანგარიშგება

2013ლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
/თანხები მოცემულია ლარებში/

	2013 წ.
შემოწირულობა	996 591
ამონაგები	68 906
საერთო შემოსავალი	1 065 498
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	180 992
საქველმოქმედო ხარჯები	409 664
კომუნალური და საკომunიკაციო ხარჯები	50 660
სპონსორების მოზიდვის ხარჯები	149 551
ტრანსპორტო და საწვავის ხარჯი	18 076
სამეურნეო ხარჯი	27 770
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	46 529
რემონტის ხარჯი	34 619
სხვა მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	33 273
სხვა ხარჯები	9 403
მოგება დაბეგვრამდე	105 003
საგადასახადო ხარჯი	8 545
მოგება დაბეგვრის შემდეგ	96 458
წმინდა მოგება	96 458

სსკ "კათარზისი"-ს პრეზიდენტი: /ზ. ალადაშვილი/

შპს "მ&მ აუდიტი"-ს დირექტორი: /მ. უჯმაჯურიძე/

ს/კ „კათარზისი"

ბალანსი

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
/თანხები მოცემულია ლარებში/

აქტივები		**31.12.2012**	**31.12.2013**
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეквივალენტები	5	83 314	110 068
მოკლევადიანი მოთხოვნები		4 021	4 064
მარაგები		47 229	94 258
წინასწარ გაწეული ხარჯები			
სხვა მიმდინარე აქტივები		9 297	275
სულ მიმდინარე აქტივები		143 861	208 665
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება		205 988	241 023
გრძელვადიანი ინვესტიციები			
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება		488	458
სულ გრძელვადიანი აქტივები		206 476	241 481
სულ აქტივები		216 388	450 146
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები		1 686	2 591
საგადასახადო ვალდებულებები		956	3 130
სულ ვალდებულებები		2 642	5 721
მფლობელთა კაპიტალი			
კაპიტალი		30 391	30 391
რეზერვები და დაფინანსება		317 617	414 034
მფლობელთა კაპიტალი სულ:		348 008	444 425
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		350 650	450 146

სსკ "კათარზისი"-ს პრეზიდენტი: /ზ. ალადაშვილი/

შპს "მ&მ აუდიტი"-ს დირექტორი: /მ. უჯმაჯურიძე/

◎ აურზაური სამიშვითში

მისი რიგიც მოვიდა, თუმცა...

აშშ-ში მყოფი მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებდა, რომ მას არაფერი აქვს დასამალი. რამდენად გულწრფელი იყო სააკაშვილი თავის განცხადებაში, ეს 27 მარტს 13:00 საათზე გამოჩნდება. ექსპრეზიდენტი პროკურატურაში მოწმის სახით არის დაბარებული. ყოფილ პრეზიდენტზე იმუნიტეტი არ ვრცელდება და ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან. სააკაშვილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროკურატურა კანონის შესაბამისად იმოქმედებს და მასზე ძებნა გამოცხადდება.

სისხლის სამართლის კოდექსი ასევე დისტანციური დაკითხვის მექანიზმსაც ითვალისწინებს და შეიძლება პირი ისე დაიკითხოს, რომ საქართველოში არ ჩამოვიდეს, მოწმე ასევე შესაძლოა, ადგილზეც დაიკითხოს, ანუ საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები ჩავიდნენ, სადაც ამჟამად სააკაშვილი იმყოფება.

იმ შემთხვევაში თუ ყველა ამ მექანიზმზე უარს იტყვის ექსპრეზიდენტი და გამოძიებას ჩვენებას არ მისცემს, მაშინ როგორც საიას თავმჯდომარე კახა კოჟორიძე აცხადებს, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყება, რადგან მოწმის მიერ ჩვენებაზე უარის თქმა დანაშაულია. კახა კოჟორიძის განცხადებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არაფერს ამბობს იმ მოწმის იძულებით მიყვანაზე, ვინც საზღვარგარეთ იმყოფება და ამ შემთხვევაში შესაძლოა, საქმეში საერთაშორისო აქტები ჩაერთოს.

სამხელმწიფო ბრალდება ყოფილ პრეზიდენტს უმძიმეს სისხლის სამართლის საქმეებზე დაკითხავს. საქმე ეხება სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის მიმართ 2006 წლის 28 იანვარს ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირების – ალანიას, ღაჭავას, ბიბილურიძისა და აფციაურის შეწყალების ფაქტს, რომელიც განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 ნოემბრის №768 განკარგულებით.

სახელმწიფო ბრალდებამ ის სისხლის სამართლის საქმეები გაასაჯაროვა, რის გამოც სააკაშვილის დაკითხვის აუცილებლობა დადგა. 2008 წლის თებერვალში, მაღალი თანამდებობის პირების მიერ, ტელეკომპანია „იმედში" შეჭრის, დარბევის, უკანონოდ დაუფლებისა და გარდაცვლილი პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ განხორციელებული სხვადასხვა უკანონო ქმედებების ფაქტებზე, რაც 2011 წლის 6 ივლისს, საქართველოს ხელისუფლებასა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის მემორანდუმის გაფორმებით დასრულდა.

2009-2012 წლებში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვის ფაქტზე; პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების დადგენის მიზნით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე. 2004 წლის ივნისში, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ისა და ტელეკომპანია „მზე"-ს კანონიერი მესაკუთრეებისათვის წილების იძულებით დათმობის ფაქტზე;

2009 წლის 20 მაისს, ე.წ. „მუხროვანის ამბოხებისათვის" ძებნილი პირების კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის დაკავების სპეცოპერაციისას, კრიალაშვილის ლიკვიდაციის, ამირიძის და ოთანაძის დაჭრის ფაქტზე; 2012 წლის 24 თებერვალს სახელმწიფოს კუთვნილი შპს „აგრომეტის" (აგრარული უნივერსიტეტის) ქონების გაფლანგვის ფაქტზე.

2012 წლის 31 ოქტომბრის პრეზიდენტის განკარგულებით მისი ბიძის თემურ ალასანიასთვის უპირატესობის მინიჭებით, სახელმწიფო ქონების შპს „ბეზეკზე" უკანონოდ პრივატიზების ფაქტზე. 2012 წლის თებერვალში, აჭარიაში მოქმედი ტელევიზიატვ-25-ის საარჩევნო პერიოდში გაკონტროლების მიზნით, მისი დამფუძნებლებისათვის 3 მილიონამდე აშშ დოლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადაცემის ფაქტზე.

2011-2012 წლებში, მაღალი თანამდებობის პირების ორგანიზებითა და მონაწილეობით „ქართუ ბანკის" ხელოვნურად გაკოტრების მიზნით, ბანკში იპოთეკით დატვირთული ქონების თვალთმაქცურად გასხვისების გზით გადამალვის ფაქტზე.

ეს არის იმ სისხლის სამართლის საქმეთა ჩამონათვალი, რაზეც სააკაშვილს საუბარი უკვე პროკურორთან მოუწევს.

როგორც პროკურორმა კოკა კაციტაძემ განაცხადა, უწყება მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრს, დედას – გიული ალასანიას ჩაბარდა, შესაბამისად მისი საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების თაობაზე ეცნობათ.

„ყოფილ პრეზიდენტს იმუნიტეტი არ იცავს, უწყებაში დაბარებულია მოწმის სახით დასაკითხად და სხვა რაიმე ღონისძიება მასთან მიმართებაში ამ ეტაპზე არ იგეგმება.

ჩვენ უნდა მოვისმინოთ მისი გამოუცხადებლობის მიზეზი, თუ ის გადაწყვეტს, რომ არ უნდა გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში. ამის შემდეგ გამოძიება გააკეთებს შეფასებას მის ქმედებაზე, თუმცა, ჩვენ ველოდებით, რომ სააკაშვილი გამოცხადდება და უპასუხებს გამოძიების შეკითხვებს",– აღნიშნა კოკა კაციტაძემ.

სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარება მოულოდნელი არ არის ექსპრემიერის ძმის გოგლა ჟვანიასთვის.

„მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე მგონი არავისთვისაა მოულოდნელი, რომ პროკურატურას სააკაშვილის მიმართ კითხვები გაუჩნდა. ამ დღეში, რომელშიც ვიმყოფებით და მთელი ცხრა წელიწადი რაც ხდებოდა, გამოწვეული იყო იმ ადამიანების მოქმედებებით, რომლებიც მართავდნენ ამ ქვეყანას და პირველ რიგში სააკაშვილის მოქმედებებით, ასე რომ, პროკურატურას გაუჩნდა მასთან კითხვები", – განაცხადა გიორგი ჟვანიამ.

სააკაშვილის მოწმის სახით პროკურატურაში დაბარებას სააკაშვილის უკრაინასა და საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურობას უკავშირებს, „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე. დეპუტატი აცხადებს, რომ სააკაშვილი დღეს არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელსაც პირდაპირი კონტაქტი აქვს მსოფლიო ლიდერებთან და, რომლის აზრსაც ვაშაძის განცხადებით, მსოფლიო ლიდერები იზიარებენ.

„როგორც ჩანს, ეს დღევანდელი ხელისუფლებისთვის მიუღებელია. სამწუხაროდ, ეს მიუღებელია ისევე დღევანდელი ხელისუფლებისთვის, როგორც მიუღებელია პუტინისთვის. დღევანდელი ხელისუფლების მიზანია, მიხეილ სააკაშვილს რამენაირად თავისუფალი გადაადგილება შეუზღუდოს. მათი მიზანია, როგორმე წითელ ცირკულარში ჩასვან, რომ ის ვერ გადაადგილდეს ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში", – აღნიშნა ვაშაძემ.

კითხვაზე, გამოცხადდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი დაკითხვაზე, ამასთან დაკავშირებით ვაშაძე ფიქრობს, რომ თუ გამოძიებას ძალიან უნდა მისი დაკითხვა, შეუძლიათ, თვითონ ჩავიდნენ იქ, სადაც მიხეილ სააკაშვილია.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე პროკურატურის გადაწყვეტილებას სწორად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ დაკითხვაზე ექსპრეზიდენტის დაბარება პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის.

„პროკურატურის შთამბეჭდავ ჩამონათვალში, საკმაოდ ბევრი გახმაურებული საქმეა და შესაძლოა, სხვა ფაქტებიცაა, რომლებიც კითხვებზე პასუხის გაცემას ითხოვს. თუ ეს კითხვები არ დაისმება სააკაშვილთან, ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურამ, სააკაშვილი კანონზე მაღლა უნდა დააყენოს. სააკაშვილი აუცილებლად უნდა მობრძანდეს დაკითხვაზე. ის ამბობდა, რომ არაფერი აქვს დასამალი. თუ ეს მართლაც ასეა, ვალდებულია, როგორც საქართველოს მოქალაქე, მივიდეს პროკურატურაში და კითხვებს პასუხი გასცეს", – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ეკა ბესელიამ.

თამთა ქარჩავა

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო ნატოს ჰაერს, ზღვასა და რელსებს შესთავაზებს

თბილისს განზრახული აქვს, ავღანეთიდან სამხედროებისა და ტვირთის ტრანზიტისთვის თავისი ტერიტორია დაუთმოს

საძართველომ დასავლეთს შესთავაზა ახალი წინადადებანი მისი ტერიტორიის გამოყენების შესახებ 2015 წელს ავღანეთიდან ნატოს სამხედროების გამოყვანის დროს. პაკეტი გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სატრანსპორტო სარდლობას და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინას, განუცხადა ჩვენს გაზეთს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენელმა.

ასე მოახდინა საქართველომ რეაგირება რუსეთისა და ნატოს თანამშრომლობის შეჩერებაზე უკრაინის მოვლენების გამო.

— ცხადია, რომ ნატოელებს უკვე აღარ ექნებათ ტრანზიტის იმედი რუსეთის ტერიტორიის გავლით, ამიტომ ჩვენი მარშრუტი უფრო აქტუალური ხდება, — განუცხადა ჩვენს გაზეთს წყარომ.

წინასწარ წინადადებებში, რომლებიც ჩამოყალიბდა ქვეყანაში თებერვლის დასაწყისში ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტთან დაკავშირებით, აქცენტი კეთდებოდა შავი ზღვის ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებზე. ამჟამად, აზერბაიჯანთან და თურქეთთან არსებული წინასწარი შეთანხმებით — არის ასევე ახალი სარკინიგზო ხაზის პოტენციალი, რომელიც სამ ქვეყანას ერთმანეთს მომავალი წლიდან დაუკავშირებს.

თბილისი საუბრობს ახალი მარშრუტის უსაფრთხოებასა და ეკონომიურობაზეც.

ამას გარდა, საქართველო მზადაა, ნატოს ტვირთებისთვის შესთავაზოს თავისი აეროპორტებიც. 2011 წელს ალიანსმა სთხოვა მოსკოვს, შეეთავაზებინა ტერიტორია ავღანეთის ტრანზიტისთვის. ერთი წლის წინათ აეროპორტი ულიანოვსკში უკვე გამოიყენეს ბრიტანელმა სამხედროებმა. ვარაუდობდნენ, რომ ავღანეთიდან ნატოს ჯარების გამოყვანის დროს ძირითადი დატვირთვა იქნებოდა სწორედ რუსეთის აეროდრომზე. ახლა თბილისს იმედი აქვს, რომ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნება.

— ნატოს მოთხოვნებს სავსებით უპასუხებს თბილისის ავიაქარხნის აეროდრომები, ალექსეევკის დასახლებაზე დედაქალაქის მახლობლად და მარნეულში ქვეყნის სამხრეთით (რამდენიმე წლის წინათ იგი ნატოს სტანდარტებამდე აიყვანეს თურქებმა), — აღნიშნავს საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილი რექტორი გიორგი თავდგირიძე.

ადგილობრივი ექსპერტების დაანგარიშებით, ქართული ხაზინა ასეთი ტრანზიტის შედეგად 100 ათასამდე მილიონ დოლარს მიიღებს.

ამას გარდა, როგორც ჩვენ გაზეთს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში უთხრეს, ცალკე იქნება განხილული ტექნიკის გადაცემის საკითხი, რომელიც ავღანეთში ნატოს მისიაში მონაწილე ქართველმა ჯარისკაცებმა გამოიყენეს. ამჟამად ავღანეთში ამერიკელების ხელმძღვანელობით 1750 ქართველი მსახურობს. ეს კონტინგენტის ყველაზე დიდი რაოდენობაა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ალიანსის წევრები არ არიან. როტაციის გათვალისწინებით, ავღანური სკოლა 11 ათასმა ქართველმა სამხედრომ გაიარა. ეს ქვეყნის შეიარაღებული ძალების მესამედია.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ასევე გვაცნობა მემორანდუმის მომზადების დამთავრების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს თბილისსა და ქაბულის თანამშრომლობას სამხედრო სფეროში ავღანეთში ნატოს სამხედრო მისიის დამთავრების შემდეგ. ავღანელებს მოამზადებენ თავდაცვის ეროვნული აკადემია გორში, სამთო მებრძოლების საჩხერის და კრწანისის სასწავლო ცენტრები. ამას გარდა, ამ ქვეყანაში დელეგირებული იქნებიან ქართველი ინსტრუქტორები, რომლებიც ავღანეთის არმიისთვის მოამზადებენ მფრინავებს, არტილერისტებს და კავშირგაბმულობის მუშაკებს.

საქართველოს ხელმძღვანელები მოუწოდებენ ნატოს, დააჩქაროს ინტეგრაციის პროცესი „რუსული საფრთხის“ გათვალისწინებით. ქართველებს ალიანსის წევრობას დაჰპირდნენ ჯერ კიდევ 2008 წელს. მაგრამ კანდიდატისთვის აუცილებელი „მოქმედების გეგმა“ ჯერჯერობით მისთვის არ გადაუცია ევროპელი ქვეყნების სკეპტიციზმის გამო. მაგრამ უკრაინის მოვლენების ფონზე დაიწყო ორმხრივი მოლაპარაკების სერია ნატოს ბლოკის სახელმწიფოთა დედაქალაქებში. 21 მარტს ბრიუსელში ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. 24 მარტს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია იწყებს მოლაპარაკებას ესპანეთში, მანამდე სამხედრო უწყების ხელმძღვანელს ურთიერთობა ჰქონდა კოლეგებთან იტალიაში.

ИЗВЕСТИЯ

◎ ალიან-ჩალიანი

ისრაელთან უვიზო რეჟიმი სასწავლებლად ან სამუშაოდ მიმავალ პირებზე არ ვრცელდება

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით ჯალაღანიას განცხადებით ისრაელში უვიზოდ შესვლის უფლება არ ნიშნავს ნებისმიერი პირისთვის ქვეყანაში შესვლის უფლების გარანტიას.

ამის შესახებ დავით ჯალაღანიამ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, სადაც განმარტებები გააკეთა იმაზე, თუ კონკრეტულად ვის შეუძლია ისრაელში უვიზო შესვლით სარგებლობა.

— უვიზოდ შესვლის უფლება არ ვრცელდება სასწავლებლად, ან სამუშაოდ მიმავალ პირებზე. ამ კატეგორიის პირებმა კვლავაც უნდა მიიღონ ვიზა დადგენილი პროცედურების შესაბამისად. უვიზო რეჟიმის მიუხედავად საქართველოს მოქალაქეებმა მგზავრობისას უნდა იქონიონ უკან დასაბრუნებელი ბილეთი და მოქმედი პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა აღემატება შესვლიდან სულ მცირე ექვს თვეს. ისრაელის სახელმწიფო საზღვარზე შეიძლება მათ ასევე მოეთხოვოთ ჯანმრთელობის დაზღვევის, სასტუმროს ჯავშნის და ქვეყანაში დარჩენისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების თაობაზე ინფორმაციის წარდგენა, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

ისრაელის სახელმწიფომ საქართველოს მოქალაქეებისთვის გააუქმა სავიზო რეჟიმი. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ისრაელში მიემგზავრებიან ტურისტულად, სტუმრად, ან კერძო ვიზიტით და მათ ისრაელში 180 დღის განმავლობაში 90 დღე უვიზოდ ყოფნა შეუძლიათ.

ინტერპრესი

◎ ფეისბუქიდან

მიყვარს „იდეინი“ ხალხი!

თან იმდენად მიყვარს, რომ არა აქვს მნიშვნელობა, ის იდეა, რასაც ემსახურებიან, დადებითია თუ უარყოფითი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვანსხვავებ და რაც უფრო დადებითია იდეა, მით მეტად ვცემ პატივს მისთვის თავგანწირვასაც!

სწორედ ამიტომ მირჩევნია პიკასოს ფიროსმანი, რომელმაც თურმე, რაც გააჩნდა ყველაფერი გაყიდა, რათა ერთი ულამაზესი მომენტი ეჩუქებინა საყვარელი ქალისთვის. პიკასო კი მილიონერად გარდაიცვალა. სწორედ ამიტომ მირჩევნია ფიდელ კასტროს ჩე გევარა, რომელმაც კუბის სამოთხეში ცხოვრებას, ბოლივიაში წასვლა არჩია ახალი რევოლუციის მოსახდენად და მოკლეს კიდევაც. კასტრომ კი კუბაში პირველკაცობა ირჩია.

სწორედ ამიტომ მირჩევნია გრიგოლ რობაქიძეს ბერტოლტ ბრეხტი, რომელსაც შეეძლო, ჰიტლერის პირველი იდეოლოგი გამხდარიყო, მაგრამ სამშობლოდან გადაიხვეწა. მის ქართველ თანამედროვეს კი ლამის ჰიტლერის ქებაში ამოხდა სული.

სწორედ იმიტომ მიმაჩნია ფრანსუა ვიიონი პირველ პოეტად, რომ სიკვდილმისჯილის საკანში უკანასკნელი ღამის ვაი-ვიშში გატარების ნაცვლად, გენიალური ლექსი ამოფხაჭნა კედელზე:

მე ვარ ფრანსუა, ჭირს ველი, ჩემი მზე მალე ჩავა,
ხვალე შეიტყობს კისერი, რასაც იწონის გავა!

სწორედ იმიტომ ვაღმერთებ გალაკტიონს, რომ ფრენა არ იცოდა და მაინც გაფრინდა.

სწორედ ამიტომ მირჩევნია პელეს მარადონა, რომელმაც თავისი ერთ-ერთი გადაცემის მთელი შემოსავალი პოლიციასთან შეტაკებაში(!) დაჭრილ ნიჭიერ, ახალგაზრდა არგენტინელ ფეხბურთელს მიუძღვნა. პელემ კი არად ჩააგდო, რომ გარინჩა, რომელსაც დღესაც პელეზე მეტად ეთაყვანება მთელი ბრაზილია, სიღარიბეში, შიმშილით მომკვდარიყო.

სწორედ ამიტომ მიყვარს დავით ყიფიანი, რომელმაც გათავხედებულ ესპანელ ჟურნალისტს, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა 100-დოლარიანი კუპიურა გაუწოდა საჩუქრად, გამოართვა, ზედ ავტოგრაფი გაუკეთა და დაუბრუნა.

სწორედ ამიტომ, დიდ პატივს ვცემ ირაკლი იშხნელს, რომელმაც სტალინს შეუთვალა, ჯერ შენ დატოვე კომპარტია და მერე მე ვიტყვი უარს „ქურდობაზეო“.

სწორედ ამიტომ მირჩევნია ნაპოლეონს სტალინი, რომელმაც ჯარისკაცი გენერალში არ გაცვალა. არანაკლებ სისხლისმსმელი ბონაპარტე კი საფრანგეთის ყველაზე ცნობილ ექიმებს იმაზე ამუშავებდა, როგორმე ორგაზმი გამიხანგრძლივეთო.

დაბოლოს, სწორედ ამიტომაა, ჩემის აზრით, ყველაზე დადებითი გმირი კინემატოგრაფის ისტორიაში მიზანა ბრეგვაძე (გენიალური „შერეკილებიდან“), რომელსაც მთელი სოფლის ვალი ჰქონდა, მაგრამ იმდენი სიკეთე დათესა, რომ თვალის გასწორება არავისთვის რცხვენოდა.

ხაზს ვუსვამ, რომ რაზეც ვისაუბრე, მხოლოდ ამ დიდი პიროვნებების ადამიანურ თვისებებს შეეხება!

ეგ იყო რა (ბევრიც გამომრჩა)!..

დავით მარდალეიშვილი

დედამიწის ზურგზე

ობამა ჩაფრინდა ევროპაში მოლაპარაკებისთვის რუსეთის წინააღმდეგ სანქციებთან დაკავშირებით

ევროპული ტურნეს ფარგლებში ობამა, პირველად თავისი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში, დაესწრება ბრიუსელში ევროკავშირის ჩინოვნიკების თათბირს. იგი ევროპაში ასევე გამართავს მოლაპარაკებას ნატოს გენერალურ მდივანთან, რომელსაც ეშინია დნესტრისპირეთში „ძალოვანი სცენარისა“.

* * *

ჰააგაში იხსნება სამიტი ბირთვული უსაფრთხოების საკითხებზე: მთავარი თემაა — კრიზისი უკრაინაში

სამიტის ფარგლებში გაიმართება აგრეთვე იმ ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომლებიც „დიდ რვიანში“ შედიან. თუმცა, ღონისძიება გაიმართება ფორმატით „დიდი შვიდიანი“. რუსეთი, პირველად უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში, მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს. პუტინი შეაჯამებს ოლიმპიადის შედეგებს.

* * *

ზამავი ამერიკის ვაშინგტონის შტატში: 8 კაცი დაიღუპა, 18 უგზოუკვლოდაა დაკარგული

ღვარცოფის ნაკადმა დაახლოებით 30 სახლი დაანგრია, ნანგრევებში შეიძლება ხალხის იყოს. საგანგებო შემთხვევის ადგილზე ამჟამად მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები, ადამიანების მოსაძებნად ამოქმედებულია შვეულმფრენები. ზვავი ჩამოწვა ორი კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე და გადაკეტა მდინარე სტილაგუამიშის ერთ-ერთი შენაკადი, გაჩნდა წყალდიდობის საფრთხე.

* * *

ნორვეგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნატოს გენერალური მდივნის პოსტზე რასმუსენს შეცვლის

იენს სტოლტენბერგის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა. იგი ასევე სარგებლობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მხარდაჭერით, როგორც ამის შესახებ დასავლეთის პრესა იუწყება. დანიშვნის შესახებ შეიძლება გამოცხადდეს ამ ოთხშაბათს — ბრიუსელში ობამას ვიზიტის დროს.

რამ გააწიწმატა პამპულები

ამჟამად ქვეყნის ეკონომიკა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მესამე ბავშვის გაჩენის შემთხვევაში მთელი ქვეყნის მასშტაბით განვახორციელოთ დემოგრაფიული პოლიტიკა. გვჯერა, რომ ქვეყნის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, აჭარის, თბილისის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მცხოვრებლები ყოველივე ამას გაგებით შეხვდებიან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონებში შეძლებისდაგვარად ადგილობრივი ხელისუფლება სხვადასხვა სახის ღონისძიებებს განახორციელებს.

პროფ. გ. წულაძე თავზე კაკალს იმტვრევს და აცხადებს: მივესალმები ნებისმიერ დახმარებას, რომელიც მოსახლეობისადმი იქნება გაღებული, მაგრამ არაფერი საერთო ამას დემოგრაფიასთან არ აქვს, დახმარების გამო ბავშვს არავინ გააჩენს. აქ ბატონ პროფესორს კიდევ კარგი ლევან კალანდაძე წამოეშველა: როდესაც მესამე შვილის დაბადებაზე ვაძლევთ მატერიალურ წახალისებას, ეს დემოგრაფიული პოლიტიკა არ არისო და თან დაუმატა აშშ-ში მაღალია შემოსავალი, მაგრამ იქ ბეიბი-ბუმს (ბავშვთა შობის აფეთქება) ადგილი არ აქვსო. ამჟამად, რა თქმა უნდა, მატერიალური წახალისება და ვერც კიდევ უფრო მაღალი შემოსავალი აშშ-ში ბეიბი-ბუმს ვერ გამოიწვევს, რომელიც დაკავშირებულია შობადობის კომპენსაციურ ზრდასთან, რომლის მაგალითს წარმოადგენს შობადობისა და ქორწინების ზოგადი კოეფიციენტების ამაღლება ომის შემდგომ წლებში, კერძოდ, XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში. ამიტომაა, რომ ბეიბი-ბუმის პერიოდს მოსდევს ბეიბი-ბასტი—შობადობის სწრაფი კლება.

დემოგრაფიულ პოლიტიკას ფართოდ იყენებდნენ ძველი სამყაროდან მოყოლებული და ახლაც წარმატებით იყენებენ. თუკი ჩინეთში შობადობის შესამცირებლად ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ მეთოდებს იყენებენ, მით უფრო შესაძლებელია ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება შობადობის წახალისებისთვის. ამასთან, თავისთავად, როდესაც ოჯახებს ბავშვზე რიცხვზე დამოკიდებულებით გადიდებული რაოდენობით ეძლევათ დახმარება, რაც ფართოდ გავრცელებულია დასავლეთი ევროპის ქვეყნებში, ეს შობადობის წახალისებას ნიშნავს. მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ისე შემცირდა შობადობა, რომ თაობათა განახლება ერთი და იმავე რაოდენობით შეუძლებელი გახდა. ეს პროცესი თანდათანობით ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელდა და იმდენად გაღრმავდა, რომ ხელისუფლებებმა საჭიროდ ჩათვალეს დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, შობადობის სტიმულირების მიზნით. პირველ შვილზე დახმარება არ გაიცემოდა. დახმარების გაცემა მეორე შვილიდან იწყებოდა და მკვეთრად იზრდებოდა მესამე შვილის დაბადების შემთხვევაში და ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად. ამჟამად რუსეთში ოჯახებს საგრძნობი მატერიალური დახმარება ეძლევათ მესამე შვილის დაბადების შემთხვევაში და პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთში ნორმა უნდა გახდეს სამბავშვიანი ოჯახი.

ახლა ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ თუკი გადაცემის წამყვანის — თამარ ჩერგოლეიშვილისა და მათი სტუმრების — ვახტანგ ლეჟავას, ლევან კალანდაძისა და გია წულაძის აზრით, შობადობის გაზრდაზე, კერძოდ, მესამე შვილის გაჩენაზე მატერიალური წახალისება არავითარ გავლენას არ ახდენს, მაშინ გამოდის, რომ საქართველოს პატრიარქის ინიციატივა მესამე ბავშვის მონათვლაზე ასევე უშედეგოა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ, რაც პატრიარქმა მესამე ბავშვის მონათვლა დაიწყო, მესამე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა. საერთოდ, მოუნათლავ ყმაწვილებს ეშმაკები ეპატრონებიან და ღამღამობით თავში სცემენ. თქვენ, ეტყობა, საკმაოდ გვიან მოგნათლეს ან საერთოდ არ ხართ მონათლულები და კარგა ლაზათიანად გიბრაგუნეს თავში, რადგან მისი ნიშნები დღესაც გამოკვეთილად გეტყობათ.

სატელევიზიო გადაცემაში, რომელსაც ასიათასობით მაყურებელი ჰყავს, წამყვანმა იმდენი მაინც უნდა მოახერხოს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც წინასწარგანზრახულად კადრულობს სხვისთვის ჩირქის მოცხებას, რომ სტუმრები ერთი მეორეზე მეტ სისულელეს არ ახვავებდნენ. გასაგებია, რომ ლეჟავა და კალანდაძე ბაიბურში არ იყვნენ, მაგრამ მაყურებელი წულაძისგან, როგორც ამ სფეროს პროფესორისგან, გაცილებით მეტს მოელოდა — კაცი კი იფიქრებდა, გადაცემაში ჩაბიჟვინებული ან წინა დღის გამოყოლილი მოვიდაო. წულაძის აზრით, შუა საუკუნეებში რომ გეკითხათ განათლებული ადამიანისთვის რამდენი ბავშვის ყოლა გსურთო, ვერ გიპასუხებდათ, საერთოდ გაუგებარი იქნებოდა ეს შეკითხვა. დაუგეგმავი, არაცნობიერი იყო ეს პროცესი— რამდენსაც ფიზიოლოგიურად შეძლებდა, იმდენს აჩენდა.

ამჟამად ადამიანების უმეტესობა გეგმავს, თუ რამდენი ბავშვი უნდა იყოლიონ და როდის, მაგრამ არა თუ შუა საუკუნეებში, არამედ ძველ სამყაროშიც ადამიანებმა წინასწარ იციან რამდენი ბავშვი უნდა გაეჩინათ და კიდევაც ახერხებდნენ ამას. თუმცა, არა ისეთი ფართო მასშტაბით, როგორც ამას ამჟამად აქვს ადგილი.

ძველი სამყაროდან მოყოლებული ცნობილი იყო არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების ტრადიციული მეთოდები, აბორტი და სხვ. ძველ რომში, გარკვეულ პერიოდში შობადობის გაზრდისთვის ყოველ დაბადებულ ბავშვზე მატერიალურ დახმარებას იძლეოდნენ. საგაზეთო სტატია არ იძლევა ამ თემის ფართოდ გაშლის საშუალებას, მაგრამ ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ კითხვა ბავშვის ყოლის რაოდენობის შესახებ, სულაც არ იყო გაუგებარი ძველ დროშიც კი. მაგალითად, ისტორიკოსი პოლიბიოსი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში მოღვაწეობდა, წერდა: „ელადის უდიდესი უბედურებაა ქალთა უშვილობა და მოსახლეობის შემცირება. ქალაქები გაუკაცრიელდნენ... უბედურება იმაშია, რომ ადამიანები გაირყვნენ, გახდნენ პატივმოყვარენი, მხოლოდ ანგარებაზე ფიქრობენ, განებივრდნენ. თავს არიდებენ საკუთარი შვილების გამოკვებას. მხოლოდ ერთ ან ორს იტოვებენ, რომ გაიზარდონ ისინი ფუფუნებაში და დაუტოვონ სიმდიდრე“. ასეთი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება არა მარტო ძველი სამყაროს ცნობილი მოღვაწეების შემოქმედებიდან, არამედ შუა საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან და ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან. გავიხსენოთ ქართული ხალხური ლექსი: ერთი შვილი — არაშვილი, ორი შვილი —ვითომ შვილი, სამი შვილი —მართლა შვილი. გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი გიორგი მცირე კი მე-11 საუკუნეში აღნიშნავდა: შვიდი ან რვა ბავშვის ყოლაზე მეტი საჭირო არ არისო.

რამდენი ვიყავით XII და XIII საუკუნეების მიჯნაზე

ქალბატონ თამარ ჩერგოლეიშვილის გადაცემაში პროფ. გია წულაძემ უცოდინრობით თუ გამიზნულად ერთი კიდევ მსხვილი, ქართველი ერისთვის მეტად არსებითი შეცდომა დაუშვა. მისი მოსაზრებით და არა გამოკვლევით, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, კერძოდ, 1254 წელს, როდესაც საქართველოში მონღოლებმა მოსახლეობის აღწერა ჩაატარეს, არ შეიძლებოდა ქვეყანაში მაქსიმუმ 2 მილიონზე მეტ კაცს ეცხოვრა. ამ მოსაზრების დასაცავად მას მეტად უსუსური არგუმენტი მოჰყავს: ამჟამად ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარი. მე-19 საუკუნის ბოლოს ქალაქად ცხოვრობდა 10 პროცენტი (მოსახლეობის 1897 წლის აღწერით ქალაქად ცხოვრობდა მოსახლეობის არა 10, არამედ15,8 პროცენტი), თამარ მეფის დროს ეს მონაცემი ნაკლები იქნებოდა და სოფლად ამდენი ხალხი ვერ იცხოვრებდაო, იმდროინდელი სოფელი ამდენ მოსახლეობას ვერ აიტანდა, ვერ გამოკვებავდაო.

თუ ამ საკითხს ძალიან მოკლედ შევეხებით, შეიძლება შემდეგი ითქვას. აღწერის პროგრამის თანახმად ვეზირმა არღუნმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა აღწერის ჩატარება, აღწერის დროს „ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელისა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცნი შეადგიან. და გამოხდა სამეფოსგან ღვთისა ცხრა დუმანი მხედარი, რომელი არის ცხრა ბევრი“. ამრიგად, მონღოლების სამსახურში სრული მიწის მქონებელი ცხრა დუმანი, ანუ ცხრა ბევრი მხედარი გამოჰყავდათ. ძველ ქართულში „დუმანი“ და „ბევრი“ ათი ათასს უდრიდა. მაშასადამე, საქართველოს 90 ათასი მხედარი გამოჰყავდა მონღოლთა სამსახურში. სხვა წყარო მოსახლეობის რაოდენობის შესახებ არ გაგვაჩნია.

მოსახლეობის რაოდენობის გასაგებად მხედრების რაოდენობის საფუძველზე ჯერ იგებენ კომლების რაოდენობას, ხოლო შემდეგ კომლების რაოდენობის საფუძველზე მოსახლეობის საერთო რაოდენობას. ამ პრობლემაზე მომუშავე მეცნიერების უმეტესობას მიაჩნია, რომ ამ პერიოდში, კერძოდ, 1254 წელს, საქართველოში ცხოვრობდა 5 მილიონი კაცი, მხედველობაში აქვთ რომ კომლის საშუალო სიდიდე შეადგენდა 5 კაცს. ინგოროყვას აზრით, სრულიად საქართველოს მოსახლეობა, თავისი ვრცელი ტერიტორიით, 1220 წლისთვის 8250 ათას კაცს უდრიდა.

ივ.ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ კომლში საშუალოდ 5 კაცის არსებობის პირობებში ამ პერიოდში, კერძოდ, 1254 წელს საქართველოში ცხოვრობდა 5 მილიონი კაცი, თუმცა, „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე ტომში 5,5 მილიონ კაცსაც ასახელებს. იმ პერიოდის მოსახლეობის გაანგარიშების დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მეტად არსებით მონაცემს, კერძოდ, კომლის საშუალო სიდიდე არ შეიძლებოდა 8 კაცზე ნაკლები ყოფილიყო. არსებული მონაცემების თანახმად, მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნეში კომლის საშუალო სიდიდე იყო 8 კაცი, მით უმეტეს მე-19 საუკუნეში არ შეიძლებოდა კომლში საშუალოდ 8 კაცზე ნაკლებს ეცხოვრა. თუ აღნიშნულს და იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ, როგორც ქრისტიანული, ისე რელიგიის მსახურნი განთავისუფლებულები იყვნენ ყოველგვარი ბეგარისა და გადასახადისგან და არ აღრიცხეს მოსახლეობის აღწერის დრო, საქართველოს ტერიტორიის ფართობი XIV საუკუნემდე 140-150 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრიდა, რომ სრული მიწის მქონებელი კომლების გარდა, იქნებოდა ნახევარი ან მეოთხედი ფუძის მქონებელიც, აღწერაში გამორჩებოდათ ცალკეული კომლები და დასახლებული პუნქტებიც კი, მაშინ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ 1254 წელს საქართველოში დაახლოებით 8 მილიონ კაცს უნდა ეცხოვრა.

სრულიად მოკლებულია საფუძველს მოსაზრება იმის შესახებ, რომ იმ პერიოდში საქართველო ვერ შეძლებდა სურსათით 5 და მეტი მილიონი მოსახლეობის უზრუნველყოფას. გლეხი მთლიანად მიწას იყო მიჯაჭვული და ოჯახების ძირითად საზრუნავს მხოლოდ სოფლის მეურნეობის კულტურების მოვლა-პატრონობა და მეცხოველეობის განვითარება წარმოადგენდა და არა ნაციონალების ჰანგზე პოლიტიზებული ვანო ჯავახიშვილისა და სხვა მსგავსი უკბილო შოუების ყურება, რომელიც დაბლა სწევს ჩვენი მოსახლეობის იუმორის გრძნობას და, საერთოდ, განათლების დონეს.

იმ პერიოდში მაღალი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაც, მიწა ნაკლებად იყო გამოფიტული, მთელი რიგი მცენარეთა დაავადებები, რომელთა მკურნალობა ახლა დიდ დანახარჯებსა და შრომას მოითხოვს, მაშინ არ არსებობდა, მეცხოველეობის განვითარების შედეგად არ აკლდათ ორგანული სასუქები, იმ პერიოდში ქართლის სოფლებში მასობრივად გავრცელდა ე.წ. „დიდი გუთანი“, რომელშიც 8-12 უღელი ხარი იყო შებმული და მიწას ღრმად ხნავდნენ. ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა შრომის მწარმოებლობა და სახნავ-სათესი ფართობები, მაღალი იყო მოსავლიანობა. ნიშანდობლივია, რომ ამავე პერიოდში ბევრი მკვლევარი აღნიშნავს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას. ჟ.დიუ-ბის მონაცემების თანახმად, IX-XII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში მოსავლიანობა დაახლოებით ორმაგად გაზრდილა, XIII საუკუნის ბოლოსთვის კი საგრძნობლად დაეცა. არ გამოვრიცხავთ, რომ საქართველოშიც ადგილი ჰქონდა ამ პროცესს.

მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის გამრავლების შესახებ ის ფაქტიც, რომ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოს მიწა-წყალზე უცხო დამპყრობთა შემოსევას ადგილი არ ჰქონია. ბრძოლები მტრის წინააღმდეგ ძირითადად მის ფარგლებს გარეთ ხდებოდა. ქვეყანაში დამყარდა წესრიგი და სამართალი, გაუმჯობესდა თითოეული მოსახლის კეთილდღეობა, ქვეყანა სიუხვის პირობებში ცხოვრობდა და სხვ., რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის სწრაფ ზრდას. ამ პერიოდში არათუ 5 მილიონი ადამიანის, არამედ საქართველოს სოფლის მეურნეობის გაცილებით მეტი ადამიანის გამოკვება შეეძლოთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ XII და XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მაქსიმუმ 2 მილიონ კაცს რომ ეცხოვრა, ქვეყნის მოსახლეობა შემდგომ პერიოდში მტრების გამანადგურებელი შემოსევების შედეგად, მთლიანად ამოწყდებოდა. ამის დასადასტურებლად საკმარისია მრავალთაგან ერთი ნიშანდობლივი ფაქტიც აღვნიშნოთ. სპარსელი ისტორიკოსების მონათხრობის მიხედვით, თემურლენგი საქართველოში ლაშქრობების დროს ძალიან დიდ გაკვირვებას გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში საქართველოში როგორ შემორჩა ქრისტიანული სარწმუნოება და აცხადებდა თავისი სარდლების გასაგონად, რომ უსათუოდ გამოასწორებდა წინაპართა მიერ დაშვებულ შეცდომას. ბოლო უნდა მოვუღოთ ამ უმსგავსობას და საბოლოოდ უნდა დავიმშვიდოთ მაღალი გონებაო“.

გადაცემის წამყვანმა ჩერგოლეიშვილმა გადაცემაში მონაწილე დემოგრაფიული განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარეს ქალბატონ თამარ ჩიბურდანიძეს „ნაციონალური მოძრაობის“ იდეებით დატვირთული ზემოთ ნახსენები სამი პიროვნება დაახვედრა, რათა აბსურდულად წარმოედგინათ დემოგრაფიის სფეროში განხორციელებული ღონისძიებები. მაგრამ ამ სამში ერთმაც ვერ ითამაშა ხეირიანად წინასწარ დაგეგმილ სპექტაკლში. მათ შესაფერისი პასუხებიც მიიღეს ქალბატონ თამარ ჩიბურდანიძისგან.

სამწუხაროდ, ანალოგიური გადაცემები მომრავლდა სხვადასხვა სატელევიზიო არხებზე. პროგრამის წამყვანები შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ სკანდალების გაგაშუქებლად. ყოველი აზრის არსებობის უფლებას ამოფარებულები მაყურებლების მოსაზიდად უაზრო გადაცემებს აწყობენ. მართალია, ყოველ აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, თუ ვინ არის ამ აზრის მატარებელი, ამ აზრის პატრონი. როცა ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ივიწყებენ, ეკრანზე ხვდებიან თუთბერიძეები, ორჯონიკიძეები, დეისაძეები, გოგიბედაშვილები, ყუბანეიშვილები... ისეთი გადაცემის წამყვანები, როგორიც თამარ ჩერგოლეიშვილია, რომლებიც ქადაგად არიან გადაქცეულები. მე მათ დავარქმევდი „ენამანქანა“ ადამიანებს, როგორც ეს აღნიშნულია მე-11 საუკუნის ერთ-ერთ ლიტერატურულ ძეგლში, რომლებიც არაფრად ფასობენ.

ანზორ თოთაძე,
პროფესორი, დემოგრაფი

დასასრული. დასაწყისი იხ. № 56, 57

◎ ძიუდო

ოქროს წერტილი ოქრუაშვილისგან

საძართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა თბილისის გრან პრიზე 9 მედალი მოიპოვა და 24 ქვეყნის ნაკრებს შორის საერთო გუნდურ ჩათვლაში გაჩემპიონდა. ირაკლი უზნაძის გაწვრთნილ გუნდზე 4 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოდის, რაც არა მარტო კაცებში, არამედ კაცთა და ქალთა საერთო შედეგების გათვალისწინებითაც კი საუკეთესო მაჩვენებელი აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, სამდღიანი ტურნირის პირველ ორ დღეს ნუგზარ ტატალაშვილი (73 კგ) და ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) ჩემპიონები გახდნენ. ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ) ვერცხლს დაეუფლა, ლუხუმ ჩხვიმიანმა (60 კგ), ზებედა რეხვიაშვილმა (73 კგ) და უშანგი მარგიანმა (81 კგ) კი ბრინჯაოები ირგუნეს. კვირას სპორტის სასახლის პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ზვიად გოგოჭური (90 კგ) და ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ) ავიდნენ, ხოლო ლევან მატიაშვილმა (+100 კგ) მესამე ადგილი დაიკავა. თუმცა, სჯობს წონების მიხედვით მივყვეთ.

90 კილოგრამი ის ერთადერთი წონითი კატეგორია აღმოჩნდა, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა მასპინძელთათვის დაწესებული ქვოტა სრულად ვერ გამოიყენა. წინასწარ განაცხადს ზედ ტურნირის წინ ვარლამ ლიპარტელიანი გამოაკლდა. შეჯიბრებაზე პირველ ნომრად განთესილმა ძიუდოისტმა ბოლო ვარჯიშზე წელის ტრავმა მიიღო და ნაკრების სამწვრთნელო შტაბის და ექიმების გადაწყვეტილებით, ტატამზე აღარ გავიდა.

დარჩენილი სამი ქართველი სპორტსმენიდან ორი შეჯიბრებაში მეორე წრიდან — მერვედფინალიდან ჩაერთო. წილისყრამ მხოლოდ ბექა ღვინიაშვილი არ დაასვენა, რომელმაც ესტონელ ტაავი ბეკერთან შეხვედრის შუაწელს, დაახლოებით ერთწუთიან მონაკვეთში მეტოქეს იუკო და ვაზარი შეუსრულა და შებოჭვაზეც დაიჭირა.

ახალგაზრდებს შორის ევროპის და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს მთავარი ბრძოლა მერვედფინალში ელოდა. მისი და რუსი კირილ დენისოვის მოსალოდნელ დაპირისპირებაზე ძიუდოს წრეებში საუბარი ჯერ კიდევ წილისყრის ჩატარებისთანავე დაიწყეს. ბევრის აზრით, 18 წლის ქართველი უკვე მზადაა, ტიტულოვან უფროს ძიუდოისტებთან ტოლ-სწორად იბრძოლოს, რაც ახლახან ჯარჯი ზვიადაურთან ჭიდაობით დაამტკიცა, მაგრამ დენისოვთან შეხვედრამ გამოაჩინა, რომ უმაღლეს ტიტულებამდე ჯერ კიდევ რთული გზაა გასავლელი.

დენისოვმა ღვინიაშვილს თავისუფალი მოქმედების პატარა შანსიც კი არ მისცა, თავად კი მეხუთე წუთზე ვაზარი აიღო და უპირატესობა მშვიდად შეინარჩუნა.

ღვინიაშვილი გრან პრის გამოეთიშა, კირილ დენისოვმა კი თბილისის სპორტის სასახლის ტატამზე ბოლომდე მაინც ვერ გაიხარა — ნახევარფინალში ზვიად გოგოჭურთან დამარცხდა და „ბრინჯაოს ფინალზე“ გადაერთო.

გოგოჭურმა მოწინააღმდეგეს თავიდანვე ისეთი შემართებით შეუტია, მსაჯს სწრაფადვე გააფრთხილებინა. პირველსავე წუთზე დენისოვმა კიდევ ერთი დამსახურებული შიდო მიიღო, მაგრამ ტატამის მსაჯს გადაწყვეტილება მსაჯთა მაგიდიდან შეაცვლევინეს. ქართველი ძიუდოისტი კიდევ უფრო გააქტიურდა და ორი გაფრთხილებით მაინც დაწინაურდა. შეხვედრის ბოლოს კი დაღლა დაეტყო, თუმცა უპირატესობა მაინც შეინარჩუნა და საბოლოოდ უილეთო ბრძოლა შიდოებით 3:1 მოიგო.

ნახევარფინალამდე ზვიად გოგოჭური ორი ულამაზესი სუფთა გდებით მივიდა. პირველი იპონისთვის ირანელ მოჰამად ჯამალისთან სამწუთნახევარი დასჭირდ, უკრაინის ნაკრების წევრ ქუეჯაუ ნჰაბალის კი მხოლოდ ნახევარი წუთი აკმარა.

ფინალი მხოლოდ 69 წამი გაგრძელდა — ქართველმა ძიუდოისტმა საფირმო ბრუნით იტალიელი ვალტერ ფაცენტე ვაზარიზე დასცა და იქვე შებოჭა.

ამავე წონაში პაატა ღვინიაშვილმა ძირითად ბადეში გამოსვლა მეოთხედფინალში სწორედ ფაცენტესთან მარცხით დაასრულა. საქართველოს ჩემპიონი შეხვედრის დასაწყისშივე ვაზარიზე დავარდა და დარჩენილ დროში მხოლოდ ის შეძლო, რომ მსაჯს მეტოქე 3-ჯერ გააფრთხილებინა.

იტალიელთან დაჭიდებამდე პაატა ღვინიაშვილმა ებრაელი ალონ სასონის ძლევა მოასწრო, რეპეშაჟში გადართვის შემდეგ კი ჯერ აზერბაიჯანელ რამინ გურბანოვთან ვაზარით ჩამორჩენა ზედ საფინალო სირენისას შებოჭვით შეატრიალა სათავისოდ, ხოლო „ბრინჯაოს ფინალში“ კირილ დენისოვთან ველარას გახდა და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

100 კილოგრამის განაცხადში შეყვანილი ოთხი ქართველი ძიუდოისტიდან სამს ფინალის გზა მომავალმა ჩემპიონმა - უკრაინელმა არტიომ ბლოშენკომ გადაუღობა. პირველ წრეში რევაზ ჩიკოიძეს აჯობა და შეჯიბრებასაც გამოთიშა, მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში კი ალექსანდრე მსხალაძესა და დავით ლორიაშვილს მოუგო.

ლორიაშვილმა ბლოშენკოსთან დაჭიდებამდე ორი კარგი შეხვედრა ჩაატარა: ლიტველ მარტინას ვასკოვიჩუსს მხოლოდ 12 წამი აკმარა ეფექტური მოგვერდის შესასრულებლად, მეოთხედფინალში კი ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ ირანელ ჯავად მაჰჯუბს ვაზარით სძლია.

რეპეშაჟის ფინალში ლორიაშვილი აზერბაიჯანელ ელმარ გასიმოვს შეხვდა და თანაბარ ბრძოლაში ტაქტიკური შეცდომის გამო მიღებული გაფრთხილებით დამარცხდა.

ალექსანდრე მსხალაძემ დამამშვიდებელ ეტაპზე გადართვამდე ერთი შეხვედრის მოგება მოასწრო — რუსეთის ნაკრების წევრ ხაიბულა მაგომედოვს იუკოთი აჯობა, ბრინჯაოს გზაზე კი ჯავად მაჰჯუბს რიგიანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და საბოლოოდ მე-7 ადგილს დასჯერდა.

ჩიკოიძე, ლორიაშვილი და მსხალაძე კენჭისყრამ სატურნირო ბადის ერთ მხარეს მოახვედრა, მეორე მხარეს კი მხოლოდ გურამ თუშიშვილი აღმოჩნდა. ახალგაზრდებს შორის ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა საღამოს პროგრამაში „რეპეშაჟის ფინალში“ ჭიდაობის უფლება მოიპოვა, რაც ასაკის გათვალისწინებით ურიგო შედეგი ნამდვილად არ იყო, მაგრამ რომ არა მსაჯის შეცდომა, ეგებ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელადაც ებრძოლა — ნახევარფინალში თუშიშვილმა არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაკრების მოლდოველ წევრ ივან რემარენკოსთან გდებით წააგო, რომელსაც მსაჯმა იპონი დაარქვა, მაგრამ რეალურად ვაზარის არ აღემატებოდა.

18 წლის ქართველმა ძიუდოისტმა დამამშვიდებელ ეტაპზე გადართვამდე ორი შეხვედრის მოგება მოასწრო. ყაზახ ტალგატ არმენოვს მეორე წუთის ბოლოს შეუსრულა სუფთა გდება, ხოლო აზერბაიჯანელ ელმარ გასიმოვს უქულო ძირითადი დროის შემდეგ დამატებითში შიდოთი სძლია. პოდიუმზე ასასვლელად მას ძალა აღარ ეყო — რეპეშაჟის ფინალში მაჰჯუბთან ორჯერ დავარდა იუკოზე და ლორიაშვილის მსგავსად მეხუთე ადგილი დაიკავა.

მძიმე წონაში პირველ ნომრად განთესილმა ადამ ოქრუაშვილმა დამაჯერებელი ჭიდაობით დაიცვა ფავორიტის სტატუსი. საქმეში იგი მეოთხედფინალიდან ჩაერთო და თანაგუნდელ როსტომ ხახალეიშვილს ოთხი გაფრთხილებით გასცდა. რუმინელი დანიელ ნატეაც ადვილად დაჩაგრა და მასაც უილეთოდ ააკრეფინა ოთხი შიდო, ფინალში კი რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ევროპის და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ანტონ კრივობოკოვი გაცილებით გახსნილ ჭიდაობაში ვაზარიზე დაადგო და შებოჭა.

ლევან მატიაშვილმაც მეოთხედფინალით დაიწყო, მაგრამ ოქრო-ვერცხლის შანსი უმალ დაკარგა კრივობოკოვთან იპონით წაგებით. დამამშვიდებელ ეტაპზე ესტონელი ჰეინო მეტისი წუთახევარში დასცა ბეჭებზე, რუმინელი დანიელ მატეა კი მსაჯს პასიური ჭიდაობის გამო მოახსნევინა.

როსტომ ხახალეიშვილმა ნაკრებს ჩასათვლელი ქულა მეშვიდე ადგილით მოუტანა. ძირითად ბადეში პირველ წრეში რუსეთის ნაკრების წევრ სტეფან სარქისიანს იუკოს გდება შებოჭვით დაუგვირგვინა, ადამ ოქრუაშვილთან წაგების შემდეგ კი მის ძმასთან — ვახტანგთანაც ვერას გახდა. ეს უკანასკნელი საერთაშორისო არენაზე აზერბაიჯანის დროშის ქვეშ ბიტიევის გვარით ჭიდაობს.

უმძიმეს წონაში კიმონო ონისე ბუღაძემაც მოირგო, მაგრამ მხოლოდ ერთხელ — პირველ წრეში ანტონ კრივობოკოვთან დაძაბულ ბრძოლაში ერთადერთი გაფრთხილებით წააგო. ბუღაძემ ლამის ორჯერ მძიმე მოწინააღმდეგეს საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე იუკო შეუსრულა, რაც ტატამის მსაჯმაც დააფიქსირა, მაგრამ მსაჯთა მაგიდის მოთხოვნით გააუქმა.

კვირასვე საქმეში საქართველოს ქალთა ნაკრების სამი წევრიც ჩაერთო. 78 კილოგრამში ნინო ოძელაშვილმა მეოთხედფინალსა და რეპეშაჟის ნახევარფინალში რუს მეტოქეებთან: ანასტასია დმიტრიევასთან და ალიონა კაჩოროვსკაიასთან იპონით წააგო. მძიმეწონოსნებმა ელენე ქებაძემ და ირინე ლეონიძემაც მეოთხედფინალით დაიწყეს და მათაც უმალ დამამშვიდებელ ეტაპზე გადაინაცვლეს, სადაც ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. უილეთო შეხვედრაში “ბრინჯაოს ფინალში“ ჭიდაობის უფლება ქებაძემ მოწინააღმდეგის ოთხჯერ გაფრთხილების გამო მოიპოვა.

19 წლის ძიუდოისტმა მსოფლიოს რეიტინგის 37-ე ადგილზე მყოფ რუს ქსენია ჩიბისოვასთანაც გაიბრძოლა, მაგრამ საფინალო სირენამდე ნახევარი წუთით ადრე ბეჭებზე დავარდა და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

28-30 მარტს გრან პრის თურქეთი უმასპინძლებს. სამსუნში ტატამზე სავარაუდოდ საქართველოს ნაკრების წევრებიც გავლენ. კონკრეტული შემადგენლობა უახლოეს დღეებში დაზუსტდება.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ფავორიტების ორსეტიანი მოგებები

მსოფლიოს კლასიფიკაციაში სადღეისოდ მეხუთე პოზიციაზე მყოფი როჯერ ფედერერი მაიამის „მასტერ 1000“-ის მერვედფინალში ჰოლანდიელ ტემო დე ბაკერთან 6:3, 6:3 დამაჯერებელი მოგების შემდეგ გავიდა. 32 წლის შვეიცარიელის მომდევნო მეტოქე ფრანგი რიშარ გასკეა.

რეიტინგსიის 162-ე საფეხურზე მყოფი ბენილუქსელის დასამარცხებლად ფედერერს საათი ეყო. როჯერმა 3 ბრეიკი და 6 ეისი შეასრულა, დე ბაკერთან პირადი შეხვედრების ანგარიში კი 3:0 გახადა.

ასევე იოლად გაიკაფა გზა მერვედფინალისკენ კლასიფიკაციის მეოთხე ნომერმა დავიდ ფერერმა. 31 წლის ვალენსიელმა იტალიელ ანდრეას სეპის შანსი არ დაუტოვა — 6:3, 6:2. საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში ფერერი მეექვსედ შეხვდა სეპის და მეექვსედაც მოახერხა 30 წლის აპენინელის ძლევა.

ფედერერისა და ფერერის მსგავსად 2 სეტით იმარჯვა შოტლანდიელმა ენდი მარეიმაც. ბრიტანელმა ესპანელ ფელისიანო ლოპესს 6:4, 6:1 მოუგო და მერვედფინალში აფროფრანგ ჟო-ვილფრიდ ცონგას შეხვდება.

ამასობაში პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ მარეის მწვრთნელი ავსტრალიელი სპეციალისტი დარენ კეჰილი გახდება. შეგახსენებთ, გასულ კვირას ენდიმ თანამშრომლობა შეწყვიტა ივან ლენდლთან, რომლის დამრიგებლობითაც 2012 წელს აშშ-ის ღია პირველობა და ლონდონის ოლიმპიური თამაშები, 2013-ში კი უიმბლდონი მოიგო. კეჰილი მარეის მწვრთნელი ადრეც იყო, უწინ კი ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტსა და ანდრე აგასისთან თანამშრომლობდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

მესიაა, აბა რა?!

მადრიდის „რეალისა“ და კატალონიის „ბარსელონას“ მატჩის (3:4) გმირმა ლიონელ მესიმ „ელ კლასიკოს“ დასრულების შემდეგ ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა.

„ჩვენს გუნდს საჭირო მომენტში პასუხის გაცემა შეუძლია. ასეთი მატჩები გვიყვარს და ტემპი არ უნდა დავაგდოთ. მიმდინარე სეზონი ძალზე დაძაბული გამოდგა. თანაც, მის დასრულებამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. ჩემი რეკორდები? მთავარია, „ელ კლასიკო“ მოვიგეთ, მაგრამ უნდა ვაღიარო, ინდივიდუალური მიღწევებით კმაყოფილი ვარ. „სანტიაგო ბერნაბეუს“ ბრწყინვალე სტადიონზე გუნდის თამაშია გამოსარჩევი და არა მხოლოდ ჩემი“, — განუცხადა არგენტინელმა ესპანურ მედიას.

შეგახსენებთ, რომ მესიმ „რეალთან“ მატჩში 3 გოლი და საგოლე გადაცემა მიითვალა, რითაც „ელ კლასიკოების“ აწ უკვე ყოფილ ბომბარდირ დი სტეფანოს გაუსწორა — 19 გოლი.

„ატლეტიკო“, „რეალი“ — 70-70, „ბარსელონა“ — 69 ქულა.

გიორგი ზოთაძე

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

„პარლამენტმა“ ზამთარი გააცილა

ჩვენი უბნის „საპარლამენტო მუშაობა“ ნამეტანი ჩამოარჩინა ყინვიან-თოვლიანმა ზამთარმა, გაჭინყლებულმა მარტმა, და აი, მგონი, ჩამოგვითბა ალექსანდრეს ბაღის „პარლამენტარებს“ – დამსახურებულ პენსიონერებს და საპენსიოდ „გამზადებულებს“, რომლებიც ზედმიწევნით „ვაკონტროლებთ“ ჩვენი არეულ-დარეული ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას.

...დედა, როგორ დაგვგროვებია სალაყბო! კაკო მშობლიური გურიიდან იწყებს, – მირეკავდნენ ოზურგეთიდან, ისევ გაჭირვებულია ხალხიო, ჯერ-ჯერობით, ვერაფერი უშველა ახალმა ხელისუფლებამო.

– შენ სხვა მითხარი, – ეგრეა რაჭაშიც, – ერთვება ნიკო, – დამირეკეს ერთხელ და, რა გასაკვირია, ესეც მოაყოლეს, ჩამოდი, შე კაცო, ლორი და ხვანჭკარა მაინც არ მოგენატრაო?!. სად წავიდოდი, ვერ ვიყავი კარგად ამ ზამთარში... მიდით რა, ბიჭებო, აგერ ათლარიანი, მოვიტანოთ რამე, დავლოცოთ გაზაფხულის შემოსვლა. „ბიჭები“, ჩვენთან შედარებით, თორემ ისე ოლეგი და გია უკვე საპენსიო ასაკს არიან მიღწეული... ფულს ვამატებთ, რაც შეგვიძლია, და ისინიც მიდიან მარკეტისკენ.

– ეს ღარიბაშვილი, კაი ვინმეა, კაცო... ხო იცით



თქვენ! – ისევ „საქმეზე“ გადადის კაკო, – ის „ნაგიჟარი“ ხომ ხშირად დადიოდა შტატებში, მარა, ასე რო ვინმე შეხვედროდეს, მე არ მინახავს... თანაც, ირაკლი რა „დასტოინად“ საუბრობს!..

– „ნაგიჟარი“ ჩამოვა ვითომ დაკითხვაზე?! ნირი აქვს წამხდარი... მაგი რო ჩასვან, რა ეშველებათ უკრაინელებს, ჭკუით გატენილი მრჩეველი და დამრიგებელი მოაკლდებათ! ვაი, მაგის პატრონს... არც ჩამოვა და ჩამოიყვანენ!..

– ისე, მართლაც, „ხაი ჟივე უკრაინა!“ მაგრები არიან, ძმაო, თუმცა, რუსეთის გაძლება არ გინდა? ხომ ხედავთ, დაიხია მსოფლიომ უკან, თუმცა, ასე არ დამთავრდება ეგ საქმე!

– ჩვენ არაფერში გაგვაბან და!..

– ჭკუით თუ არ ვიქნებით, ყველა ვარიანტში აგვიჯანყებს პუტინი „ჯავახელ ძმებს“...

– რას ქვია, „ჭკუით თუ არ ვიქნებით!“ შევუძვრეთ პუტინს?!

– მაგას არ ვამბობ, მარა გამაღიზიანებელი ნაბიჯებიც არ უნდა გადავდგათ! „ნატო“-„ნატოს“ ყოველ წუთს ძახილი, ნამეტანი აგიჟებს მაგათ!..

– ეს ყველაფერი კარგი, მარა ივანიშვილისა და მარგველაშვილის საქმეს რა ეშველება?.. ვინ შეარიგებს ძველ მეგობრებს?

– მე თუ მკითხავთ, არაფერიც არ მომხდარა... და შესარიგებელიც არაფერია. ჩვენ ხომ პოლიტიკოსებისგან დიპლომატიური ტყუილის მეტი არაფერი გვინახავს და ვერ შევეჩვიეთ ბიძინას გულწრფელობას, რასაც ფიქრობს, იმას რომ ამბობს დაფარავად... ჰოდა, ატყდა ერთი ამბავი!.. შენმა ზოგიერთმა კოლეგამ ხომ პირდაპირ „იშოვა“ საქმე! (მე მომმართავს კაკო), ათასნაირად „აანალიზებენ“ ბიძინას საუბარს... ბიჭო, რომ დააარსა არასამთავრობო „მოქალაქე“, მაშინ თქვა კიდეც, მე არ დავფარავ, რაც არ მომეწონებაო!..

...აი, „ბიჭებიც“ მობრუნდნენ მარკეტიდან. წამოვიშალეთ და ბაღის გვერდით მდებარე რამაზის სახელოსნოში შევლაგდით, სადაც არც მაგიდა გვაკლდა, არც სკამი და არც თეფში... ჰოდა, დავლოცეთ გაზაფხულის შემოსვლა...

* * *

გამოვედით შეზარხოშებულნი, საუბრით ქვეყნიერებაშემოვლილი „პარლამენტარები“ რამაზის სახელოსნოდან და ახლა, ბაღის გავლით, საკუთარ სახლებში უნდა წავიდ-წამოვიდეთ. მზიანი დღეა, ახმაურებულა ალექსანდრეს ბაღი. – შეხედეთ, ერთი შეხედეთ, ბიჭებო, რა ქალია! – გვანიშნებს ჩვენი ნიკო, ოთხმოცს გადაცილებული ბერიკაცი. ვხედავთ, მართლაც დიდად სანდომიანი ახალგაზრდა ქალი „ბუდელს“ მოასეირნებს. რაკი ჩვენი ყურადღება იგრძნო, გადმოგვხედა და ღიმილიც არ დაიშურა.

– ეს ჩვენი უბნელი არ უნდა იყოს!.. – გაკვირვებულია გია.

– მაგარი კია ძმაო და!..

– კი, მაგრამ რაღა დროს შენი ქალების ყურებაა! – როგორც ყოველთვის რამაზი უჩმახებს ნიკოს.

– რაო, რაო?! შენ კიდე გაჯობებ, რომ იცოდე! – პასუხობს ნიკო, ცოტა ხნის შემდეგ კი სევდიანად უმატებს: ეეეე... ან ქალი არ იყოს, ან თვალი არ იყოს, ჩემო რამაზ! სიბერეს რა ვუთხარი!.. ისე, გაზაფხულის მოსვლას, მეც ვგრძნობ! აბა, ხვალ დილამდე, თუ, რა თქმა უნდა, ამინდი იქნა!

საბჭოთა სისტემის კიდევ ერთხელ მონატრება

ამასაც მოვესწარითო!.. ქართველმა მწერლებმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიაწოდეს მიმართვა, რომელსაც 100-მდე ადამიანი აწერს ხელს და დახმარებას ითხოვს, როგორმე გვიხსენით შიმშილობისგანო, ხანდაზმულ, ინვალიდ, მრავალშვილიან მწერლებს და კიდევ სხვებს, უამრავს, არსებობის საშუალება არა აქვსო... კულტურის სამინისტრო უმალ ხომ არ გადაწყვეტს? „ამ საკითხს მუშაობა და მსჯელობა სჭირდებაო“, უთქვამთ და მეტი არც იყო მოსალოდნელი. მეტი რა?.. ვთქვათ, გაუწია კულტურის სამინისტრომ უსასოო მწერლებს ერთჯერადი დახმარება, ვთქვათ, პენსიასავით რაღაც დაუნიშნა კიდეც. მერე რა?.. ამით ეშველება პრობლემას?.. ზოგს გაუსაძლისი მდგომაროება რომ აქვს, იმიტომ ამხელს თავის გასაჭირს, ზოგს, იმერელივით კუდი ყავარზე აქვს გადებული, თორემ, იცოცხლეთ, ყველას უჭირს!

ყველას უჭირს!

ჰოდა, მე მაგონდება ძველი დრო, „დასაქცევი“ საბჭოთა სისტემა, რომელიც, შეიძლება ითქვას, მწერლებს, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს ხელისგულზე ატარებდა. წიგნებს უბეჭდავდა და დიდ ჰონორარს (ბინას და მანქანას რომ იყიდდა, ისეთს) აძლევდა, ქვიშხეთიდან ბიჭვინთამდე აგარაკებზე ასვენებდა, სახელ-დიდებას და იუბილეებს არ აკლებდა, ოღონდ, ნამეტანი „თავისუფალი“ მოაზროვნე ნუ იქნებოდი და ისეთ ლექსს ნუ დაწერდი, გაზეთ „უიკენდის“ ბოლო ნომერში რომ დაუბეჭდავს „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთ „თავისუფალ“ პოეტს კოტე ყუბანეიშვილს.

მკითხველთან ბოდიშის მოხდით, „ავტორისეულ სტილში“ გთავაზობთ ამ „შედევრს“.

„ქართველი ეს ის ჯიშია
სადაც მეფეც კი გავროშობს
და ერთადერთი შიშია,
რაც აღტაცებას წარმოშობს,
ქართველი ეს ის ტომია
მოუტყან დედის მუტელი
რომელიც სახლში ლომია
და საზღვარგარეთ კურდღელი!

ვაგინებთ ხომ კომუნისტურ ცენზურას? აი, ბატონო, „თავისუფალი“ აზროვნება. ღმერთმა შეარგოს, ვისაც ეს მოსწონს!

არადა, ვინც „თავისუფალი“ არ იყო და საბჭოთა „მარწუხებს“ იტანდა, სიღატაკეში ცხოვრობს. არადა, მაღალმხატვრულ ქართულ ლიტერატურას სწორედ ესენი ქმნიდნენ!

ვილენ მარდალეიშვილი

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

მეუღლე ნანული მარგიანი, შვილები მაია, ეკა, კახა, ოთარი, ბაჩო, სიძე ხვიჩა ავალიანი, რძლები ელენე კორკოტაშვილი, ნანა ხაჭვანი, ნინო კვანჭიანი, შვილიშვილები, ცოლისძმა ვალერი მარგიანი, ცოლისდები თინა, ლამარა მარგიანები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიშა ჭიჭიკოს ძე იოსელიანი

დასაფლავება საგარეჯოს რაიონში, სოფ. უდაბნო, 27 III, 15 სთ.

გიზო, ნათელა, იუზა ვასაძეები ოჯახებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის

გურამ ჩანტლაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

◎ სათრეველა

ბაქიბუქას „მაინ კამფი“

სად არის, სად არის, სად არის,
სადარი მფორთხავი სარდალის?
სადა და ცოლოურს ბრძანდება
რომ მოჰყვეს „ცოცხების“ მზადებას...
როდესაც ვუხსენებთ სამართალს,
სიდედრთან ბაქიბუქს გამართავს
და რაკი რაღაცით მაინც ჰგავს
ჰიტლერს და მის ცნობილ „მაინ კამფს“,
საჯიჯგნად აქციონ ძაღლებმა
რაც დალპა, აშმორდა, მძაღდება!

ალექსანდრე შენგელია

◎ ინფორმაცია

საქართველო სხვა ქვეყნებში წარმოებული ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანაა

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2014 წლის საერთაშორისო ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიის ანგარიში (INCSR) გამოაქვეყნა. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, საქართველო სხვა ქვეყნებში წარმოებული ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანაა.

ამასთან, ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს სამართალდამცავების კონტროლს მიღმა რჩება.

„საქართველოს ასევე აქვს შიდა ნარკოტიკების პრობლემა. ადგილობრივად წარმოებული ამფეტამინის ტიპის სტიმულატორები,ი რომელიც „ჯეფისა“ და „ვინტის“„ სახელითაა ცნობილი, ასევე ადგილობრივად წარმოებული დესომორფინის ოპიოდი, რომელიც „კრაკადილის“ სახელითაა ცნობილი, პოპულარობით სარგებლობს. სხვა ნარკოტიკებთან ერთად, ჰეროინი, მეტადონი და მარიხუანი ხელმისაწვდომია ადგილობრივ ბაზარზე“, – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

ამასთან, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ექიმებმა და ანალიტიკოსებმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში „ჯეფისა„ და „ვინტის„ გაზრდილი მოხმარების გამო, რომლის დამზადება სახლის პირობებშიც არის შესაძლებელი.

„სახლში ასევე შესაძლებელია „კრაკადილის“ დამზადება მედიკამენტებთან კოდეინის შერევით, რომელიც რეცეპტით არის ხელმისაწვდომი, თუმცა ფარმაცევტები მას რეცეპტის გარეშე, „დახლს ქვეშიდან“ ყიდიან.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2014 წლის 15 მაისს 12 საათზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის №9) გაიმართება სს „კავკასავტომაგისტრალის“ კუთვნილი ასფალტის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **თბილისი-ლაგოდეხის საავტომობილო გზის 36-ე კილომეტრი, სოფ. ხაშმის გადასახვევი (სს „კავკასავტომაგისტრალის“ ოფისში) ტ. 5 99 57 05 84.**
- **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. მის: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის №9.**

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

სს „კავკასავტომაგისტრალის“ ადმინისტრაცია

ლირიკოსი მეცნიერი

ცნობილმა მეცნიერმა და სტუდენტთა აღმზრდელმა, სამთო საქმის პროფესორმა **რეზო სტურუამ** ბოლო ორი წლის განმავლობაში შესანიშნავი ლექსები შექმნა და მშვენიერ წიგნში – **„მზე, რომელიც წვიმამ გადაიყლა“** გააერთიანა. ვინც რეზოს ლექსებს წაიკითხავს, უმალ მიხვდება, თუ რატომ არის ეს სულით და ხორცით ლამაზი კაცი ასე დახვეწილი, ღრმად განსწავლული, დღემუდამ საქართველოზე, მის მომავალზე, მეგობრებსა და ახლობლებზე გადაყოლილი კაცი. მისი პოეზია უაღრესად თანამედროვე, სადა და დახვეწილია.

დღეს გთავაზობთ **რეზო სტურუას** სამიოდე ლექსს კრებულიდან – „მზე, რომელიც წვიმამ გადაიყოლა“...

ჩემს აჭარა-აფხაზეთს

ჩემო აჭარავ, შენ ხომ ჯვარი
წმინდა ნინოსი,
ღვთით დალოცვილი,
მადლიანი მკერდით ატარე,
მუხლს ვიდრეკ შენ წინ, რომ
ცხოვრების ამაოებამ,
მზე დაგიჩრდილა, ჩაგახუტა
ნახევარმთვარე.

შენ აფხაზეთო, ჩემო ძმაო,
ჩემო ტკივილო,
დამილოცია შენი ძე და
შენი ასული,
მიიღე ჩემი გულის კვნესა,
მობოდიშება,
შენსკენ გამოწვდილ, ხელის
გულზე მორცხვად დასმული.

ოცდაცამეტი

და მაინც რატომ
ოცდაცამეტი,
არა ოცი და
არა ცხრამეტი.
ეს საიდუმლო
უფლის ფრთოსნებმა,
ჩუმად გამანდეს
ანგელოზებმა.
უფალმა, თურმე,
ივერთ მიწაზე
ძე მოავლინა
და მისცა ძალა,
აღჭურვა მადლით,
აღჭურვა ხიბლით,
გზა დაულოცა
და დაავალა,

შეექმნა ჩვენთვის
დედა ანბანი,
ეზრუნა შემდეგ მისი
ბედისთვის

და თითო-თითო
წელი უბოძა,
ყოველი ასოს
გამოჭედისთვის.
და აი, რატომ
ოცდაცამეტი,
არა ოცი და
არა ცხრამეტი.

●

უმწეო, მშიერ
ძაღლს რომ ქვას ესვრის,
ნეტავ, ის ბიჭი
ვისი შვილია,
მან ძაღლს ესროლა
ეგონა, თორემ,
იმ ქვამ, ასევე,
მოკლა ილია.

მერცხალს ბუდე რომ
ჩამოუშალა,
ნეტავ ის ბიჭი
ვისი შვილია,
ბარტყი ასე რომ
ცოცხლად გაწირა,
იმ უგულობამ
მოკლა ილია.

უძლური ქალი,
გადასასვლელზე,
დგას, ხელი შენსკენ
გამოწვდილია,
შენ რომ ამაყად
ჩაუვლი გვერდზე,
იმ გულგრილობამ
მოკლა ილია.

შვიდი კაცი რომ
ექვთიმეს კუბოს
ძლივს მიაცილებს,
ეს სირცხვილია,
ვერ დავინახეთ
მოწამე დიდი,
ამ ვერ დანახვამ
მოკლა ილია.

დაფიქრდი, ძმაო,
იმ უღვთო ტყვიამ,
ასე რომ მუხთლად
მოკლა ილია,
ბერბიჭაშვილის
მარტო კი არა,
ყველა ჩვენგანის
გასროლილია.

◎ ჩვენი კარაბადინი

თავის ტკივილის ასზე მეტი სახეობაა, მაგრამ ადამიანს ყველაზე მეტ ტანჯვას მაინც შაკიკი აყენებს. ქართულ ფოლკლორში ასეთი ლექსიც კი არსებობს:

შაკიკი შემოგვეჩვია
სათივისა ბოლოსა,
ისე ხრავდა რკინასა,
როგორც ხარი თივასა,
დასწყევლოს წმინდა გიორგიმ,
გაიპაროს დილასა.

როგორ ვებრძოლოთ შაკიკს?

შეკითხვებს უპასუხებს ნევროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მარინე კორაშვილი.

ოჯახური საქმეა?

მართალია, რომ შაკიკი ხშირად ოჯახური დაავადებაა?

ანა, მარნეული

– ამაში არის ჭეშმარიტების წილი, თუმცა, მემკვიდრეობითობა ყველაფერს როდი განსაზღვრავს. მაგალითად დავასახელოთ შემთხვევა პრაქტიკიდან. ერთხელ ჩემთან მოვიდა პაციენტი, დიდი კომპანიის წარმატებული ქალბატონი, ვისაც ყოველთვიურად შაკიკის 15-15 შეტევა ჰქონდა ხოლმე. როდესაც მკურნალობის შემდეგ კარგ შედეგს მივაღწიეთ, მან ჩემთან თავისი დედა და უმცროსი და მოიყვანა. ისინი იყვნენ მშვიდი, გაწონასწორებული ქალები, მათ ჰქონდათ შაკიკის თითო შეტევა ნახევარ წელიწადში ერთხელ. ჩემ პაციენტს კი ჰქონდა მუშაობის არანორმალური გრაფიკი, სტრესები, გადაცდენები...

მიდრეკილებას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ თავად პაციენტზეა დამოკიდებული, გამოვლინდება თუ არა იგი. ზოგჯერ, შეტევები რომ იშვიათი გახდეს, საკმარისია უბრალოდ გამოვრიცხოთ გამოუძინებლობა, ზედმეტი ძილი, ამოვიღოთ მენიუდან ალკოჰოლი და კვების ზოგიერთი პროდუქტი, დროულად ვისაუზმოთ და ვისადილოთ, არ ავიღოთ ზეგანაკვეთური სამუშაო, გამოვიყენოთ აერობიკული ტანვარჯიში...

რა ტკივილია?

თუ ადამიანი თავის ტკივილს უჩივის, როგორ გებულობს ექიმი, რომ ეს შაკიკია? თავი ხომ გადაღლისგანაც შეიძლება გტკიოდეს...

თინათინი, სიღნაღი

– თუ შაკიკის ეჭვი ჩნდება, ექიმი თხოვს ავადმყოფს ერთი თვის განმავლობაში აწარმოოს დღიური. ეს გვეხმარება, ანალიზი გავუკეთოთ, რამდენი შეტევა იყო ამ დროში, რა ვითარებაში ჩნდებოდა იგი, რა ჭამა პაციენტმა იმ დღეს, თუ ეხამებოდა ერთმანეთს შაკიკი და დაძაბულობის თავის ტკივილი...

დღიური საშუალებას გვაძლევს, არა მხოლოდ დავსვათ სწორი დიაგნოზი, არამედ იგი შემდგომ მკურნალობაშიც გვეხმარება. პაციენტთან ერთად ექიმი გამონახავს ტრიგერებს – ფაქტორებს, რომლებიც შაკიკს იწვევენ. უნდა შევეცადოთ, ისინი გამოვრიცხოთ. დღეს პაციენტები სულ უფრო და უფრო ხშირად აწარმოებენ ასეთ დღიურებს ტელეფონში, სმარტფონში, პლანშეტნიკში.

როგორ მოვთოკოთ შაკიკი

სწორი მკურნალობა

ჩემ დას აქვს შაკიკის შეტევები. ექიმთან არ მიდის – სისულელეაო, სვამს ტკივილგამაყუჩებელ წამლებს. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ისინი აღარ შველის...

ირინა, სამტრედია

– სამწუხაროდ, შაკიკიანი პაციენტების მხოლოდ 25 პროცენტი მიდის ექიმთან კონსულტაციისთვის. ხალხი უჯერებს რეკლამას და იწყებს ალერგეტიკების მიღებას ლამის ყოველდღე. ასეთი წამლების უკონტროლო მიღებას კი მივყავართ აბუზუსურ თავის ტკივილთან. სიტყვა „აბუზუსური“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „დამოკიდებულებას“. ასეთი ტკივილის დროს ვითარდება პრობლემა: საშუალება უკვე აღარ გვეხმარება, ადამიანს კი აღარ შეუძლია უწამლოდ ცხოვრება. შედეგად იწყება პრეპარატების უკონტროლო მიღება, დოზების გაზრდა. ყველა პაციენტიდან ასეთი დამოკიდებულების ავადმყოფები ყველაზე მძიმე ავადმყოფებად ითვლებიან.

შაკიკი უნდა მოვიხსნათ „სწორი“ აბების დახმარებით. თუ შეტევა მსუბუქია და ხდება იშვიათად, შეიძლება შემოვიფარგლოთ არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებებით. ხოლო თუ ტკივილი საშუალოა და ძლიერი, დაგვჭირდება ტრიპტანების ჯგუფის სპეციალიზებული პრეპარატების მიღება. ისინი ახდენენ არა მხოლოდ თავის ტკივილის კუპირებას, არამედ შაკიკის ისეთი თანმდევი სიმპტომებისაც, როგორებიცაა გულის რევა, პირღებინება, ფონოფობია (როდესაც შუქი და ხმაური აუტანლად გვაღიზიანებს). და, რაც მთავარია, აღადგენს ადამიანის შრომისუნარიანობას.

◎ კადრი



◎ ცინცხალი ანეკდოტები

– რძალო, პირუტყვი მაინც თუ დააპურე?
– არა, დედი, თქვენს ვაჟს ჯერ ისევ სძინავს.

* * *

თუ შევაგროვებთ „კოკა-კოლას“ ათ საცობს, ოც ცარიელ სიგარეტის კოლოფს, შოკოლადების ასორტის სამ კოლოფს, ლუდისა და არვის ათ-ათ ცარიელ ბოთლს და პლასტმასის ჭიქებსა და თეფშებს და ყველაფერ ამას სანაგვეზე წაიღებთ, ბინაში ბევრად მეტი სისუფთავე იქნება.

* * *

მიდის ქუჩაში ქალი. მის საპირისპიროდ ძაღლიანი კაცი მოდის. ძაღლმა ქალს უკბინა.
– რას აკეთებთ? თქვენი ძაღლი ხომ ცოფიანია! – ყვირის ქალი.
– ის არასოდეს არ ყოფილა ცოფიანი.
– ახლა გახდა!

* * *

არა, ცოლიანი არა ვარ. ყველაფერს თვითონ. საკუთარი ხელებით...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24